“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№6 (246)
ივნისი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

მერაბ კოსტავა - 80

შენ გევედრები...

შენ გევედრები, სულით გლახაკი,
ვინმე დევნილი სიმართლისათვის,
თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო ხარკი,
ვეღარ გავიღე თავი ღვთისათვის.

გამოუთქმელო წმინდა საბაოთ,
თვალაპყრობილი მოგმართავ ზენარს,
მასმინე სიტყვა დაუსაბამო,
ნუ ამარიდებ მშობლიურ მზერას.

არ მითხოვია შავი დღისათვის
თვალის წილ თვალი, კბილის წილ კბილი,
არ განმიკითხო ცოდვებისათვის,
არ დამიტეო უძღები შვილი.

ოდეს ვირეკდე, განმიღე კარი,
ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო
და განმიახლე სულის საყდარი,
სასოებაო და სიხარულო.

როდესაც წართქვი: „იყავნ ნათელი",
აღენთო ჭაღი მზიანი ღამის.
აელდა თვალი, ტაძრის სარკმელი,
განმმარტებელი სანთელი გვამის.

შენ მიანიჭე ნათელი იმ მზეს,
რადგან გწადია ჩვენც გაგიმზევდეთ,
რომ იმავ თვალით, რომლითაც გვიმზერ,
შენვე გხედავდეთ, შენვე გიმზერდეთ.

მაშ რაღას ვაქნევ წელთა სიბერეს,
რაღას დამაკლებს ჟამთა დინება.
თუკი მეოხად ხმა შენმიერი
და შენი მადლი მომეფინება.

სული მარტვილი აღვაპყარ შენდა,
ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად,
გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ,
დაფარულთათვის მიმაგებ ცხადად.

და დაფარული თუ გაცხადდების,
იმ პირველ სიტყვას მადლით მთოვარო,
ღირსად მყავ შენი გამოცხადების,
დამბადებელო და მაცხოვარო.

თუ სიდიადე იმ პირველ თქმულის,
საღვთო სინედლის არის პირობა,
მომმადლე ლექსით აღვსებულ
გულის,
დაუშრეტელი ოქროპირობა.

ცდაში მარჯვენა არ მომიცარო,
აბჯრად ამასხი ძალი თმენისა,
უკვდავებისა შთამასვი წყარო,
შემასხი ფრთები აღმაფრენისა.

და მაშინ ვიტყვი,
მსხვერპლი შენთვისაც
ეკლიან გზებზე ავათავთავე,
რადგან ვით სულის,
ნაღდი ლექსისაც,
სასუფეველი არის სათავე.

იმედი იგი, ყოვლის მძლეველი,
მეოხად ჩვენდა შენგან ისახვის,
რადგან კაცთაგან შეუძლებელი,
შესაძლებელი არის ღვთისათვის.

ჭეშმარიტების მიჯნურთა მწდეო,
ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო,
მარადი მამის მარადო ძეო,
რწმენავ, იმედო და სიყვარულო.

ლოცვა

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად,
გარდასახდენი არ განმარიდო,
ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად,
ჩემის ცხოვრების სამაგალოთოდ.

რამეთუ მწადის დიდო გამჩენო,
მოსახდენს ზურგი არ შევაქციო,
სურვილი შენი, განზრახვა შენი,
მიზნები შენი ჩემად ვაქციო.

სადაც ხელმწიფე უღირსია ...

სადაც ხელმწიფე უღირსია, ცუდად ირჯება,
იქ თვით ქურუმთა წინამძღვარიც უმაქნისია,
იმ ქვეყანაში ხალხიც მალე შეიბილწება,
ყოფა ტახტის და საკურთხევლის შესატყვისია.

იდუმალების დასწყვეტიათ წყარო ცოდვილთა,
სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად
აღვიქვამთ მუდამ,
ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ,
ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა.

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს...

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,
ვეშაპის მუცლით გასულ იონას
და აიაზმას გადაასხურებს,
როცა განწმენდის ჟამი იელვებს,
როცა იქცევა ყველა მსახურად,
როცა ფეხს დაჰბანს გადამთიელებს.

განცხადება

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. **საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით:** ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

ორი პირველი პრემია – 1500-1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ნიალისაგან“;

მეორე პრემია – 700 ლარი – შპს „ნიალისაგან“;

სამი მესამე პრემია – 500-500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან“;

იმისთვის, რომ რესპუბლიკის მოსწავლეახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია – 500 ლარი;
მეორე პრემის – 400 ლარი;
მესამე პრემია – 300 ლარი.

სამივე პრემია დაწესებულია შპს „ნიალისაგან“.

მოსწავლეთა შორის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა ნლევანდელი დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბრი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

წმიდა ნინოს ჯვარი

წარმოსახვითი ბევრჯერ ნანახი მხატვრული ფილმის მოკლე შინაარსი

კაბადოკიის ხედი. ანტიკური შენობა.

დიდ ოთახში 50-მდე გოგონას მოძღვარი ქრისტეს შესახებ ესაუბრება.

გალობა, ლოცვა (სპეციალისტთან ერთად არის დასამუშავებელი).

გოგოები: ზოგი ქარგავს, ზოგი ქსოვს, ზოგი ხატავს... (კადრები დასამუშავებელია)

ერთ-ერთი ლოცვის (მისაღებია „მამაო ჩვენო“) შემდეგ მოძღვარი ყველას ხის ჯვრებს ურიგებს, ლოცავს და სხვადასხვა მიმართულებით აგზავნის, რათა ქრისტიანობა იქადაგონ.

*

რიფსიმე, გაიანე და ნინო სიმღერით და გალობით გორაკიდან ბილიკით ეშვებიან. ზეთისხილის ბაღში დანაყრდებიან. ილოცებენ, ცოტა ხანში ნაკადულთან შეისვენებენ, პირჯვარს გადაიწერენ და გზას გააგრძელებენ.

ანაზდად ერთ-ერთი შესძახებს:

– გოგოებო, ქალაქი!

სამივეს სახე გაუნათდება.

ჯვრებს ასწევენ, ისევ პირჯვარს გადაიწერენ და ქალაქისკენ გაემართებიან.

*

დიდი და პატარა გაკვირვებული უყურებენ უცხო ადამიანებს.

მახინჯი მამაკაცის კუშტიანი მზერა...

გოგოები ქადაგებენ (ტექსტი და ეპიზოდი სპეციალისტთან ერთად არის დასამუშავებელი).

კოცონთან მრისხანე სახის მამაკაცი ზის, თითქოს თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს, მეორე სასტიკი გარეგნობის მამაკაცი ტახტზე ზის და თვალებს აბრიალებს.

– ვინ არიან? რა ხმები მესმის? – ეკითხება ორ როხროხა მამაკაცს, რომელნიც მის წინ იჩოქებენ

– ასე იძახიან, ჩვენი ღმერთი იწამეთო!

– ჩვენი ღმერთი? ვინ არის მათი ღმერთი?

– ქრისტეაო, ჩვენი ღმერთი!

– მერე?

– თქვენ ყველანი ქრისტიანები უნდა გახდეთო!

მრისხანე მამაკაცი ისევ დააბრიალებს თვალებს, ჯერ გადაიხარხარებს, შემდეგ დაიღრიალებს:

– ახლავე მოულეთ ბოლო! ახლავე!

*

გოგოებს თმებით ათრევენ და სასტიკად სცემენ. ერთ-ერთი კოცონთან დაეცემა და ხელიდან ჯვარი გაუვარდება.

მრისხანე მამაკაცი ჯვარს ცეცხლში აგდებს და წაქცეულ გოგონას უღრიალებს:

– შეეენ! აბა, თუ გიშველის შენი ღმერთი! გაიქცევი, იმ გორაზე ახვალ და კლდიდან გადახტები! შენ გიშველის შენი ღმერთი? ხა-ხა-ხა!

გოგონა ღრიალით წამოდგება, როხროხა მამაკაცი ზურგზე მათრახს გადაუჭერს და წააქცევს.

– ადექიი! გაიქეცი და კლდიდან გადახტი! – ისევ დაუღრიალებს მრისხანე მამაკაცი.

გოგონა გაიქცევა.

ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდება. მისი მეგობრები მიწაზე გდიან.

გორაზე ავა.

მთის მდინარე ულმობელია და სასტიკი.

კლდიდან გადახტომას დააპირებს თუ არა, ესმის ნაზი ხმა:

– ნინოოო! ნინოოო!

გოგონა მოიხედავს და ადგილზე გაშეშდება.

კადრზე მარიამ ღმრთისმშობლის და ანგელოზის სილუეტი გამოისახება (კადრი ოსტატურად არის დასამუშავებელი).

– მარიამი! – ნინოს თვალები გაუფართოვდება და სახეზე სევდიანი ღიმილი ენათება.

მარიამი ვაზის ჯვარს აწვდის და ეუბნება:

– წადი ჩემს ქვეყანაში, ვაზის ქვეყანაში, იქ კეთილი ხალხი ცხოვრობს.

ანგელოზი ნინოს ჩაეხუტება და ხელს ჩაჰკიდებს.

– წამო, ნინო!

წავლენ.

*

სივრცე. ლამაზი ბუნება.

ნინო და ანგელოზი გორაზე დგანან და სივრცეს გაჰყურებენ. ანგელოზი ხელს წინ გაიშვერს და ნინოს ეუბნება:

– აი, იქიდან იწყება ის ქვეყანა. წადი, ნინო!

ნინო ანგელოზს თვალებს დაუკოცნის და დაემშვიდობება, შემდეგ ვაზის ჯვარს შემართავს და ბარისკენ დაეშვება (ანა კალანდაძის ლექსი ჩავდოთ).

ანაზდად, საიდანღაც, შვლის ნუკრი გამოხტება, ნინო შეკრთდება, მერე გაეღიმება და ნუკრს გულში ჩაიკრავს. კიდევ რამდენიმე შვლის ნუკრი გამოჩნდება. ნინო ყველას ეფერება.

ჯვარშემართული, სახეგაბრწყინებული, აგრძელებს გზას.

მეცხვარეები და მენახირეები გაკვირვებული უყურებენ.

ნინო ბეკეკას მოეფერება.

ისევ აგრძელებს გზას და სოფელში შედის.

ხედავს ხალხი დავარდნილ ხბოს ახვევია.

– ვერ გადარჩება, – ამბობს მოხუცი გლეხკაცი და ხანჯალს დააძრობს.

ამასობაში ნინო ხბოს წინ დაიჩოქებს, ჯვარს გადასახავს, მოეფერება თუ არა, ხბო წამოდგება.

დიდი და პატარა გაოცებულია.

– ვინ ხარ? – ეკითხება ბერიკაცი და ხანჯალს ქარქაშში ჩააგებს.

– ნინო ვარ, მე, თქვენთან, ღმერთის დედამ გამომგზავნა. ასე მითხრა, ჩემი ქვეყანა არისო. აქ იმიტომ გამომგზავნა, რომ აქ კეთილი ხალხი ცხოვრობსო, თან ეს ვაზის ჯვარი გამომატანა, – პირჯვარს გადაიწერს, – ვაზის ქვეყანა არისო. ამ ჯვარს დიდი ძალა და მადლი აქვს. მას შეუძლია ავადმყოფები განკურნოს, ბარაქა მოგცეთ, ოღონდ უნდა იწამოთ ქრისტე ღმერთი და ილოცოთ. ქრისტე ღმერთი ადამიანთა ცოდვების გამო აწამეს, იგი ჯვარს აცვეს.

შუახნის ქალი ტირილით ეუბნება:

– ბავშვი მყავს ცუდად, იქნებ უშველოთ, ენა აქვს ჩავარდნილი, თან მთელ სხეულზე გამონაყარი აქვს.

ნინო ქალს ქოხში შეჰყვება. ბავშვს ჯვარს გადასახავს, ჩუმად ლოცვას წაუკითხავს (ლოცვის ტექსტი სპეციალისტთან ერთად არის დასამუშავებელი), მოეფერება თუ არა, ბავშვს გამონაყარი გაუქრება და ატიტინდება. დედა ხელში აიყვანს და გარეთ გავა. ყველას უხარია მისი ბედნიერება.

დიდი და პატარა გარს ეხვევა ნინოს.

– ნინო! – ეძახის პატარა გოგონა და ტირის, – ჩემი ბებო ცუდად არის, ვერ დგება.

ნინო გოგონას ქოხში შეჰყვება. მოხუცი ქალს ჯვარს გადასახავს და თვალებს დაუკოცნის.

– ნუ გეშინია, ბებო, კარგად გახდები.

მოხუცი წამოდგება.

ნინოს გარს ეხვევიან. ეფერებიან.

– ნანა დედოფალი ძალიან მძიმედ არის, – ამბობს კეთილსახიერი ჭარმაგი მამაკაცი, – იქნებ უშველოს, მივიყვანოთ მირიან მეფესთან.

ნინო ჯვარს შემართავს და მიდის.

ხალხი უკან მიჰყვება.

*

მცხეთა. ბაგინეთი. არმაზი.

გორაზე აღმართულ წარმართული ღვთაებების წინ მამაკაცები რიტუალს ატარებენ (ეპიზოდი სპეციალისტთან ერთად არის დასამუშავებელი).

*

ქალაქში ყველა თავისი საქმითაა დაკავებული: მჭედლები ხმლებს და ფარებს ჭედავენ, მექოთნეები ქოთნებს აკეთებენ. მოხუც თედო პაპას ურმით უზარმაზარი ქვევრი მოაქვს. ქვევრს თავს ახდის და ხალხს ღვინოს ასმევს. მოხუცი ქალი ბავშვებს ჩურჩხელებს ურიგებს. ბიჭუნები ლახტაობენ, გოგონები ცეკვავენ.

ჯეელ ახალგაზრდა მამაკაცს ზურგით ცხვარი მოჰყავს.

– მეფე მოდის! დიდება მეფეს! – ვიღაც დაიძახებს.

ჯეელი მამაკაცი მეფის წინ ცხვარს დასვამს.

– ეს თქვენ, დიდო მეფეო!

მირიან მეფე ხელს გადახვევს და მონეტას მიაწოდებს.

– ეს კი შენ!

ჯეელი მამაკაცი თავს დაუკრავს.

მირიანი თედო პაპას ღვინოს გასინჯავს. მოეწონება. ჩურჩხელას და ფელამუშსაც გასინჯავს.

შუახნის ქალი თონეში პურს აკრავს. მეფე პურსაც გასინჯავს, ბავშვებს მოეფერება, მჭედლებს და მექოთნეებს შრომას დაუფასებს, შემდეგ თავის სასახლეში შევა, სადაც ლოგინად ჩავარდნილ დედოფალს ქალები ახვევია. მირიანი ერთ-ერთს მოიხმობს.

– გადარჩება?

ქალი ჩუმად პასუხობს:

– უკურნებელი სენი შეჰყრია დედოფალს.

მირიანი თავდახრილი გარეთ გავა, ბავშვები (ორი გოგონა და ერთი ბიჭუნა) ჩაეხვევიან.

– მამა, როგორ არის დედა?

ამ დროს ახალგაზრდა მამაკაცი მეფესთან მიირბენს და აღფრთოვანებით ეუბნება:

– დიდო მეფეო! ჩვენთან ერთი ლამაზი გოგო ჩამოვიდა უცხო ქვეყნიდან, ავადმყოფებს კურნავს, იქნებ ნანა დედოფალი მოარჩინოს?

ნინო ჯვრით ხელში მირიანისკენ მიემართება. ხალხი უკან მიჰყვება.

მირიანი კიბეზე ჩამოდის, ნინოს შეათვალიერებს და ეკითხება:

– ვინ ხარ შენ?

– ნინო.

– საიდან ხარ?

– კაბადოკიიდან.

– აქ რისთვის ჩამოხვედი?

– ღმერთის დედამ გამომგზავნა თქვენთან.

– ღმეთის დედამ? ღმერთს დედა ჰყავს?

– ჩვენს ღმერთს ჰყავს, მარიამი ჰქვია. ეს ვაზის ჯვარი გამომატანა. ასე მითხრა, ჩემს ქვეყანაში წადიო, ვაზის ქვეყანაშიო, იქ კეთილი ხალხი ცხოვრობსო, იქადაგეო, რათა ყველამ ჩვენი ღმერთი – იესო ქრისტე იწამონო.

– ჩვენი ქვეყანა თქვენი ღმერთის დედის ქვეყანა ყოფილა? – მხრემს აწურავს და წარმართული ქანდაკებებისკენ აიხედავს, – შენ გინდა, რომ ჩვენ ჩვენს კერპებზე უარი ვთქვათ და შენი ღმერთი ვიწამოთ?

ნინო თავს დახრის და ჩაილაპარაკებს:

– იესო ქრისტე ადამიანთა ცოდვების გამო ეწამა, იგი ჯვარს აცვეს. მესამე დღეს აღდგა, – პირჯვარს გადაიწერს.

ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა, ბოლოს მირიანი ეკითხება:

– ამბობენ, ავადმყოფებს არჩენსო.

– კი, – პასუხობს და ქვემოდან სევდიანად ახედავს.

– შეგიძლია ნანა დედოფალი მოარჩინო?

ნინო თავს დაუქნევს.

შეჰყავს დარბაზში.

მირიანი ქალებს დაითხოვს.

ნინო ავადმყოფის სასთუმალთან ჩამოჯდება, მირიანს გამოხედავს და ეუბნება:

– ნანა დედოფალთან მარტო დამტოვეთ!

მირიანი გადის.

ბავშვები ეკითხებიან:

– ეს ლამაზი დეიდა მართლა მოარჩენს ჩვენს დედას?

მირიანი არაფერს ეტყვის.

მეფის სასახლის წინ ხალხი ტრიალებს, ყველანი აივნისკენ იყურებიან.

ნინო ნანა დედოფალს ჯვარს გადასახავს და ჩუმად ეტყვის:

– ნანა დედოფალო, ნანა დედოფალო, მოიხედე ჩემსკენ.

ნანა დედოფალი თავს მოაბრუნებს და თვალს გაახელს.

ნინო ჯვარს გადასახავს და ლოცვას წაუკითხავს (ლოცვის ტექსტი სპეციალისტთან არის შესათანხმებელი).

ერთმანეთს ჩახუტებულნი აივანზე გამოვლენ თუ არა, ატყდება ყიჟინი.

მირიანის გაოცებული სახე.

ნანა და ნინო კიბეზე ჩამოდიან. ბავშვები ეხუტებიან დედას. ყველა მხიარულობს.

– რა გავაკეთო შენთვის, დედოფალი რომ გადამირჩინე? – ეკითხება მირიანი ნინოს.

– მე კი არ გადავარჩინე, ჩემმა უფალმა, – იესო ქრისტემ გადაარჩინა, მისმა ლოცვამ და ამ ჯვარმა. – პირჯვარს გადაიწერს.

– რა ვქნა?

– უნდა იწამოთ ჩვენი ღმერთი.

– როგორ უნდა ვიწამოთ?

– უნდა ააგოთ სალოცავი, ახლავე! გაჩვენებთ როგორი უნდა იყოს სალოცავი. დაგიხატავ... მომიტანეთ რაიმე დასახატი, თუნდაც ნახშირი.

თედო პაპა ნახშირს აწვდის.

ნინო კედელზე სალოცავს დახატავს.

– ხედავთ, ეს კარებია, აქ, ზემოთ ჯვარი უნდა იყოს. ეს სალოცავი იგივე ღმერთის სახლია. უნდა შეხვიდეთ და ილოცოთ.

ერთხანს ისევ სიჩუმე.

ნანა მირიანს სევდიანად შეხედავს, თითქოს თვალებით ეუბნება, რომ დათანხმდეს. ბავშვებიც სევდიანად შესცივცინებენ.

– არ შემიძლია, – ეუბნება მირიანი ნინოს, – სხვა რამე მთხოვე!

– მაშინ სკოლა გამიხსენი.

– რა სკოლა?

– სკოლა.

– მერე, რა უნდა აკეთო სკოლაში?

– ბავშვებს ვასწავლი ქარგვას, ქსოვას, ხატვას, სიმღერას, ლოცვას, საერთოდ, სიკეთეს ვასწავლი.

– კეთილი, ასწავლე.

ნანა და ნინო ერთმანეთს ჩაეხუტებიან. ბავშვები ამხიარულდებიან.

*

ნინო ბავშვებს ხატვას, ქსოვას, ქარგვას, ლოცვას და სიმღერას ასწავლის (კადრები დასამუშავებელია).

ნინო ხატებს წერს. სალოცავსაც დახატავს. ნანა დედოფალი და მისი შვილები სულ მის გვერდით არიან.

მირიანი როცა შემოვა, იქაურობას კარგად შეათვალიერებს.

– ეს არის ქრისტე ღმერთი? – ეკითხება ნინოს.

ნინო თავს დაუქნევს.

– ეს, ალბათ, მისი დედაა.

– კი, დედაა.

– ეს?

– მთავარანგელოზია, ეს კი სალოცავია.

– ლამაზად დაგიხატია.

ბავშვები იწყებენ გალობას.

*

მირიანი ოთახიდან გადის და ხალხში გაერევა. ამასობაში ახალგაზრდა ჯეელი მამაკაცი მასთან ღრიალით მიირბენს:

– დიდო მეფეო! დიდო მეფეო! მტერი მოდის! მტერი მოდის!

ხალხი აფორიაქდება.

იერშეშლილი სახეები...

მირიანი მკერდზე მუჭს ირტყამს და იძახის:

– ვიცავთ მამულს! ვიცავთ მამულს! განგაში! ვიცავთ მამულს!

მეგანგაშე ბიჭები ამაღლებული ადგილებიდან ხარის რქებისგან გაკეთებული საყვირებით ხალხს მოუხმობენ.

ვინ საიდან გამორბის და ვინ საიდან, სახნავიდან, სათესიდან თუ საძოვრებიდან.

ჯეელი ვაჟკაცები შეიარაღდებიან და ღრიალებენ.

– ვიცავთ მამულს! ვიცავთ მამულს!

*

მტრის ჯარს, რომელიც შუბებითა და ფარებითაა შეიარაღებული, წინ ცხენოსანი სარდალი მიუძღვით. უცებ სარდალი გორაკისკენ გაიხედავს, ხელს ასწევს და ჯარს შეაჩერებს.

სიჩუმეს არწივის წივილი არღვევს.

მირიანი და მეომრებიც გორაკისკენ გაიხედავენ.

გაკვირვებული სახეები...

გორაკზე ნინო დგას ჯვრით ხელში და ილიმება.

ჯარს ჯვარს გადასახავს.

სარდალი ნიშანს მისცემს თუ არა, ჯარი უკან გაბრუნდება, თავად კი ჯერ მახვილს მიწაში ჩაასობს, ცხენიდან ჩამოხტება, მუხლს მოიდრეკს, მერე ცხენს შეახტება და ჯარს უკან გაჰყვება.

*

ზეიმია. ყველა მხიარულობს. ცეკვავენ და მღერიან.

ისმევა თედო პაპას ღვინო....

მირიანი ამაღლებული ადგილიდან ომახიანად შესძახებს, თან ნინო და ნანას თვალს არ აშორებს, რომელნიც ერთმანეთს ეხუტებიან.

– დიდება შენდა, იესო ქრისტე! დიდება შენდა! – ხელებს მაღლა სწევს, – ავაშენოთ სალოცავი!

ყიჟინი.

აშენებენ სალოცავს (კადრები დასამუშავებელია)

ააშენებენ.

ბავშვებს სალოცავში ხატები შეაქვთ.

ხალხი ჯვრებით ხელში შედიან სალოცავში.

ლოცვა და გალობა.

ნინო ვაზის ჯვრით ხელში.

კადრი ჩერდება.

ტ ი ტ რ ე ბ ი.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ნარო კოლხელი (ნარიმან იაშვილი)

გივი ნემსაძე

გადამავიწყდი

წასვლა კი არა, გაფრენაც კი არაფრად
არ ღირს,
აზრი არა აქვს ხელის ნაცვლად ფრთაც
თუ გექნება.
მე დამიჯერე, დამიჯერე, ვერასდროს წაშლი,
ლექსებს, რომლიც უფრო ახლოს არის
ხელებთან.

თვალების ნაცვლად, გულის ნაცვლად,
გრძნობების ნაცლად,
არეულია ერთმანეთში ყველა ძახილი...
მაპატიე და ვერც კი მივხვდი, რაც მოხდა ახლა,
ჩემდა უეცრად, უნებლიედ გადამავიწყდი.

გადამავიწყა როგორც გუშინ, დღესაც ლოდინმა,
გამაღვიძა და ყველაფერი იყო ძველივით.
გიხსენებ ახლა და ფრაგმენტებს
ვითრევ შორიდან,
რომ კიდევ ერთხელ წავიკითხო შენი წერილი.

არაფერია, ალბათ, გულმაც სიცივე იგრძნო,
სიცარიელე ვერ შეივსო მეტი ლოდინით.
გაცარიელდა ყველაფერი იმდენად, თითქოს,
რომ ამ თოვაშიც გარეთ ვზივარ უბნის
ლოთივით.

რაღაც ფიქრებით ამოთქმული სიტყვა ჩამესმა,
არ მასვენებს და თითქოს ქვევით
მიმითრევს მიწა.
არ დამთავრდება ეს ცხოვრება, თუ
შენც ოდესმე,
თუ შენც ოდესმე შეიყვარებ, როგორც
მე მიყვარს.

გოგო, რომელიც ავირჩიე ყველაფრის
ნაცვლად,
გოგო, რომელიც ჩემს თვალებში აღარ
გაივლის,
მაპატიე და ვერც კი მივხვდი რა მოხდა ახლა,
ჩემდა უეცრად, უნებლიედ, გადამავიწყდი.

ძალა წართმეული იალქნები

(გეძღვნება შენ)

დგანან სახლები და მარტოდ დარჩენილი
ღიმილები.
ქარი ზამთარივით ყინვით ეჭიდება
მოაჯირებს.
გფიქრობ, ვინაიდან, ფიქრებს ვერასოდეს
მიმიხვდები,
გიცდი, ვინაიდან, იმედს სიცივეც ვერ
მომაცილებს.

სახე შეეცვალათ გზაზე დაყუდებულ
ლამპიონებს,
მთვრალი კაცებივით სახლი აერია
მონატრებას.
მე კი, ვინაიდან ლექსით შენს სიყვარულს
ვაპიარებ,
დღესაც დავთვრები და ტუჩზე სიგარეტი
ჩამაკვდება.

დგანან თაროები, უწიგნოები და მტვრიანები,
ლექსის ბაგეები სიტყვის მოკრძალებას
ელოდება.
შენ კი დეკემბერში თოვლის მოსვლასავით
გვიანდები,
შენ გვინდები და მაინც ვერ ერევი მოგონებას.

ღამემ ყოველგავრ ზღვარზე გადასვალაც კი
მაპატია,
ღრუბლის სანთელივით მთვარე დაეხატა
სანაპიროს.
თითქოს სუსხია და თითქოს გამეფანტე, –
ავდარია,
შენი მოგროვებაც ჭადრის ფოთლებივით
დავაპირე.

ძალა წართმეული მძიმედ ვეყუდები
მოაჯირებს,
ვდგავარ ქუჩაში და სხვისი დასანახი
ღიმილებით
გიცდი, ვინაიდან იმედს სიცივეც ვერ
მომაცილებს,
გფიქრობ, ვინაიდან, ფიქრებს ვერასოდეს
მიმიხვდები.

შენ და პოეზია

(გეძღვნება მხოლოდ შენ)

ჩემი სამყაროა ასე საუცხოოდ ცარიელი,
შენც ხომ წახვედი და, ჰოდა, გამიძელი
სამარემდე.
როგორც არასოდეს ერთხელ ამინდივით
აირევი,
ჰო და, ერთ დილასაც ისევ ამინდივით
დალაგდები.

ჩემი სამოთხიდან ჩუმად გაქრები და მოეშვები,
ფიქრი უჩემობის თავზე პოეტივით
დაგათვრება.
თავსაც გაიმართლებ, ასე კვდებიანო პოეტები,
ვიცი, ჩემი მოკვლაც, ალბათ, პოეზიას
დაბრალდება.

ცაზე ღრუბელია ჩემი ლექსებივით გაფანტული,
ჩემი ოთახივით თუ არ მივალაგებ,
რა მოხდება?!
ტანზე ვარსკვლავები ვარდის ეკლებივით
დაზაფრული,
ზლაზვნით გაგივლის და ჩემზე მონატრებას
მოგიყვება.

ჩემი ცხოვრებაა, ისე უშენობით გაფხეკილი,
ზარის დარეკვასაც სულში კვაზიმოდო
მეცილება.
ხვალ რა იქნება და, ალბათ, უჩემობაც
გადაგივლის,
მაგრამ სიყვარული შენთვის პოეზია არ იქნება.

ჰოდა, რა თქმა უნდა, ჩემი სისხლძარღვივით
ვიწროვდები,
გულზე ალესილი კალმის ნატყვიარი
მამჩნევია.
გარდა პოეზიის ქვეყნად არაფერი მიმონებდა,
ჩემი ცხოვრება ხომ ქარზე მიჯაჭვული
მარხილია.

ფიქრი უჩემობის თავზე პოეტივით დაგათვრება,
ჩემი სამოთხიდან ჩუმად გაქრები და მოეშვები.
ჩემი სუიციდიც, ალბათ, პოეზიას დაბრალდება,
თავსაც გაიმართლებ, ასე კვდებიანო პოეტები!

არასდროს

შენსავით თხოვდებიან ფიქრები,
მარტონი არ რჩებიან არასდროს.
არასდროს დაგივიწყებ, გპირდები,
მე შენი გაბუტვითაც ვამაყობ.

ფერები მოვარდისფროდ უცვლელი,
კიბოსფრად ვეგებები ოქტომბერს.
ღვინისგან გაიხეთქეს მუცლები,
ჭურებმა და სიმთვრალით მორცხვობენ.

ვერავინ, ვერასოდეს, ვერაფრით,
ვერ შეცვლის არარსებულ არაფერს.
უშენოდ აღვსილი ვარ ყელამდე
და წარსულს შემოდგომას ვაბრალებ.

სიცივეს, გადმოხეთქილს მაჯიდან,
ვენების გადასერვის სიცივეს.
მე შენი მონატრებით დავდივარ
და ტკივილს არაფერზე ვიფიცებ.

შენამდე ცარიელი მოვედი
და სავსე სიყვარულით მივდივარ.
ვშთანთქე და შევიწირე მორევი,
გრძნობებით ამაზონზე დიდი ვარ.

სურათი გაციებულ სარკმელთან,
ვით ქვრივი დასტიროდეს სატირალს.
შენ ჩემთვის ერთადერთი სახე ხარ,
რომელმაც სიყვარულში დამცინა.

მე შენი გაბუტვითაც ვამაყობ,
არაფრით დაგივიწყებ, გპირდები,
მარტონი არ რჩებიან არასდროს,
ოდესღაც თხოვდებიან ფიქრებიც.

მე მუდამ ასეთი

მე ყოველდღიური არც ისე რთული ვარ,
როგორც ეს სამყარო,
როგორც ეს ბუნება, როგორც ეს ხალხი და
როგორც ეს ამინდი.
მე ჩემი ღიმილით, უბრალოდ შექმნილი,
წარსულით ვამაყობ
და გენიოსივით ყველა გამოთქმაზე
ანდაზა არ ვიცი.

მე ვიწყებ საუბარს ყოველ დღე,
ერთი და იგივე ფრაზებით,
მდუმარე ბერების ცრემლებით აღსავსე
თვალების საშველად.
და ყოველ საღამოს ვიბრძვი და ისევე
მარტივად ვმარცხდები,
რომ პირქვე დაცემულს ჩემივე შექმნილი
მარცხისაც არ მჯერა.

მე ვცხოვრობ მარტივად, ყოველ დღე
თუთუნის ბოლით და არაყით,
ვივიწყებ ყველაფერს, რაც მინდა უბრალოდ,
რომ აღარ მახსოვდეს.
მე ვტირი მთვრალი და მერე კი, საერთოდ,
არავინ არ არის,
ვინც მეტყვის ნუგშს ან მიზეზს იმისას,
თუ რისთვის ვარსებობ.

მე ყოველ საღამოს ვზივარ და ფიქრებით
თავს ვმარხავ ცოდვებში,
ვერ ვითვლი, რამდენი გაქცევა გავბედე
ჩემივე თავისგან.
მე ასე უბრალო, ჩემივე ქცევებით,
შენამდე მოვედი
და წასვლა არ მინდა! და წასვლა არ მინდა!
და წასვლა არ მინდა!!!

მე ჩემი სამყაროს მფლობელი კი არა,
ვეზირიც არა ვარ,
ქედზე მიჯაჭვული არწივის ფრთებიდან
მომძვრალი ბუმბული.
გრიგალმა კი არა, ნიავმა ატარა შორეულ
მთა და მათა,
ატარა, ბოლოს კი მიაგდო სადაღაც
სველი და უძლური.

და ყოველ საღამოს ვიბრძვი და ისევე
მარტივად ვმარცხდები,
რომ პირქვე დაცემულს ჩემივე შექმნილი
მარცხისაც არ მჯერა.
მე ვიწყებ საუბარს ყოველ დღე ერთი და
იგივე ფრაზებით,
მდუმარე ბერების ცრემლებით აღსავსე
თვალების საშველად.

თითქოს დაგძლიე

რაც დრო გავიდა, ყველაფერი თითქოს დავძლიე,
მარტის არევას დავაბრალე შენთან სიშორე.
შენ არც კი იცი, რომ გგონია მაშინ არ მძინავს
და უშენობაც მაგ უმთვარო ღამით ვიპოვე.

გადის დღეები, ყველაფერი ცოცხლად იწყება,
ყველა უშენო დაღამებას ვითვლი თითებზე.
შენ თუ გგონია ყველაფერი დამავიწყდება,
მაშინ ეს ლექსიც გააქრე და გადაიშორე.

თუ დავმთავრდები, ყველაფერი დღეს
სულ ერთია,
აზრი არა აქვს თუ მახსენებ სიცხის ბოდვებში.
როგორ ვჩქარობდი, შენთვის ხელი რომ
ჩამეკიდა
და როგორ მძიმედ ვბრუნდებოდი
დამშვიდობებით.

ვიხსენებ დღეებს, ღიმილებს და სახის
სიწითლეს,
როცა ვერაფერს ვბედავდით და იდგა დუმილი.
ვიხსენებ ქუჩებს, შენი უბნის შარაც მივიწყებს,
და აზრიც არ აქვს ახლა, ახლად თუ ამოვივლი.

სამწუხაროა, უნებლიე კოცნის დასარულს,
ღამე მშვიდობის რომ გისურვე, ბენჟამინივით.
ნეტავ საღამო იწყებოდეს და სადღაც
წარსულს,
მოვიკითხავდე ქვაზე მჯდომი შენი შიმშილით.

შენ არ იცი და, რომ გგონია, მაშინ არ მძინავს
და უშენობაც მაგ უმთვარო ღამით ვიპოვე.
რაც დრო გავიდა ყველაფერი თითქოს
დავძლიე,
მარტსაც ბოლოჯერ დავაბრალე შენთან
სიშორე.

დავდივარ ახლაც

(ბოლო ლექსიდან დიდი დრო გავიდა.
გეძღვნება მხოლოდ შენ.
შენ დაიბადე ჩემში მაშინ, როცა შენ შეგხვდი).

სად არ ვიარე მე იმ ღამით და ბოლოს მაინც,
შენი სახლის წინ ავეტუზე ბებერ ლამპიონს.
ვუცქერდი ცას და უნებლიედ მახსოვდა მარტი,
მარტი, რომელმაც არ მინდა რომ გადაგვაჩვიოს
ერთმანეთს, რადგან უშენობით დგება წყვდიადი,
მუსიკის ფონზე სიბერესთან ვიწყებ საუბარს,
რომ შემძლებოდა, სიყვარულსაც გადავიტანდი,
რომ შემძლებოდა, ავივლიდი ახლა სხვა უბანს.
მაგრამ დასაწყისს დასასრული ვეღარ ვუპოვე,
მივყვები გზას და მგონია, რომ მოგყვები
გვერდით.
და, რა თქმა უნდა, შენ ერთი ხარ,
ვისაც ვუწოდე,
მე პირველ მცნება დარღვეულმა,
ჩემივე ღმერთი.
ახლა იქ ვდგავარ, სადაც ერთ დროს
ვიდექით ორნი,
ვიხსენებ ღიმილს რიჟრაჟიდან დაღამებამდე,
არ მემეტება ერთი წამიც, მე და შენს შორის
დასაკარგავად, ვინაიდან წამში ვეწამე.
სახლში, რომელშიც ჭერი მადგას
სარკოფაგივით
დგას სიბნელე და მარტოობის სრული ქაოსი.
ღმერთმანი, შენი გაღიმებაც იყო ფაქიზი,
იმდენად სათნო, ისე მძიმე, რომ ვერ დავოკდი.
და ყოველ ღამით უძილობას ვათევ ქუჩაში,
ვერაფერს გიმხელ და ყველაფერს ვიწერ
ფურცელზე,
რომ ერთხელ მაინც თუ დაგჭირდეს ჩემი ნუგეში,
აიღე ხელში და უჩემოდ თავსაც უშველე.
დავდივარ ახლაც და ბილიკებს ცრემლებით
არ ვშლი
გიტოვებ შენ და არ იდარდო ჩემზე, რადგანაც,
რუსთაველს ისევ ამოვყევით და ბოლოს სახლში,
მიგაცილე და გამოვბრუნდი შენ დასანახად.

დღეის წერილი

(შენ)

დღეს ვზივარ მარტო და კიდევ ერთხელ გწერ,
წერილს სათაურით, – „უზომოდ მიყვარხარ“!
გიყურებ სურათში მაგ გამხდარ ხელებზე,
რომელთა შეხებაც მაჟრჟოლებს წინასწარ.
დღეს ვზივარ სარკმელთან, თვალებით ეზოში,
ვრწმუნდები ყველაზე ლამაზი რომ მყავხარ.
გარეთ მეძახიან ის მკრთალი სულები,
რომლებსაც ფიქრებით შენამდე მოვყავარ.
მე რომანტიკოსი, – შენ უფრო ნაკლებად,
გიზიდავს ვარდები, პეპლები, ბუნება...
მიყვარხარ ძალიან და სხვა გზა არ მრჩება,
მინდა, რომ ეს გული გაჩუქო – წუთებმა
იციან თავის ადგილი, მარტივად,
მე მესმის წყვდიადის ჩურჩულის ამბორი.
შენ ყოველ საღამოს ირევი მარტივით.
ჩემზე კი უცნაურ რამეებს ამბობენ.
გრძელდება ჯაჭვივით ჩაბმული ცხოვრება,
მე უფრო სხვაგვარად მინდა რომ გიყურო,
ჩვენს ამბებს ოდესმე წიგნები მოყვება,
(ვიცი, გეცინება და ისიც – რას ფიქრობ),
ვიქნები თაროზე ლექსების ფურცელი,
მხოლოდ-ღა იმიტომ, თითი რომ შემახო,
წვიმისგან დახატულს გაზაფხულს სულ სველი
გაჩუქებ, გულივით და აბა შენ იცი.
მე შენზე მარტივი ცხოვრების მეგზური,
მოვყვები აისებს სხივებად შენამდე.
ყველაფრის უფლება ჩემგანაც გეკუთვნის,
ოღონდ, გევედრები, ეს ლექსიც შემინდე.
შენ გიყვარს „რემარკი", „ბუკოვსკი",
„ფრანც კაფკა",
მე უფრო „ჯონათან ლივინგსტონს" გადავშლი.
მე „კვაზიმოდო" და შენ „ესმერალდა" ხარ,
ერთად კი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი".
შენ ჩემთვის „ჟანა" ხარ, უცვლელი თვალებით,
მე „მოდელიანე" მსმელი და მხატვარი.
შენ ჩემი „მალენა" და რისხვა ქალების,
მე ის ჯარისკაცი, გულით რომ ატარებ.
ჩემთვის ხარ უბრალოდ „დეიზი ფულერი",
მე ჩვილი „ბენჟამინ ბატონის" ცხოვრება.
შენ „ჯულიეტა" ხარ, ღიმილით უცვლელი,
მე, ალბათ, „რომეო" და მთელი ბოჰემა.
ყინულის ნატეხზე გამთბარი გრძნობები,
ფიქრები მხოლოდ-ღა, შენ გახვალ ვფიცავარ.
მე, ალბათ, „ჯეკი" ვარ, შენ, ალბათ, „როუზი"
და ჩემი ადგილი არ არის ფიცარზე.
დღეს, ალბათ, ძალიან უვიცი აღმოვჩნდი,
და „დოსტოევსკიდან" ვერ ვფიქრობ ფრაზებზე.
უბრალოდ, ბეღურა ჩიტების გალობით,
ამ ჩემი უბრალო ლექსებით გაღმერთებ.
ვზივარ და გიყურებ გაწურულ ხელებზე,
რომელთა შეხებაც მაჟრჟოლებს წინასწარ,
ვამთავრებ წერილს და კიდევ ერთხელ ვწერ,
რომ მართლა ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

წერილი მეგობარს

ბოლო წერილთან შედარებას აღარ ვაკეთებ,
წერაც არ მინდა, ვინაიდან სიტყვა არ მყოფნის.
ვდგავარ, ვუყურებ გარემოს და ვფიქრობ
და მერე
მიზეზს ვერ ვხედავ, აზრს ვერ ვიგებ ახლა
აქ ყოფნის.

აქამდე გზებზე, ასფალტებზე, ლამპიონებზე,
ვსაუბრობდით და ვეწეოდი ყველა სტრიქონში.
აქაურ ქარებს სულ ვერაფრით გამოვემეტე
და ასე დავრჩი სიტყვა ძუნწი, როგორც
გინდოდი.

გაგიკვირდება, არ ვსაუბრობ ახლა სიზმარზე,
აზრი არა აქვს დაგცდეს სიტყვა ცრემლებზე,
რადგან,
მე ტკივილისგან ტკივილადვე გარდავისახე
და უფრო მეტად დავემგვანე სევდიან მამას.

რომელიც ახლა მომავალზე არაფერს ამბობს,
ჩუმი ფიქრებით ყველა ღიმილს ჩვენთვის
იმეტებს.
კაცი, რომელიც გულგატეხილ სახეში
სახლობს,
სახე, რომელიც ტანჯვისაგან ექცა სიბერედ.

ასე არის და მერამდენე იმედს ვიტყუებ,
როგორც გითხარი – ყველაფერი თქმადაც
არა ღირს,
ვდაგავრ ღამეში, მთვარის შუქზე ვუცქერ
სილუეტს
და ვატყუებ რომ ყველა აღმართს მოსდევს
დაღმართი.

რომელსაც, ალბათ, სიხარულით შევეგებები,
და არცერთ გზას არ დავიტოვებ უკან
დასახევს.
ასე დავრჩები, როგორც ფერფლი სულის
შებერვით,
ქარებს რომ მიაქვთ და დროში ვერ დაასამარებს.

ლექსებს, რომელსაც ყოველ დილით ვწერდი
სიზმარზე,
მარტოობაზე, სუიციდზე, ცრემლებზე,
რადგან,
მე ტკივილისგან ბოროტად ვერ გარდავისახე
და უფრო მეტად დავემგვანე სევდიან მამას.

ჯაბა სამუშია

(დასასრ. დასაწყ. იხ. ˙ N1-2-3-4-5)

ქვემოთ გთავაზობთ ართვინის ოკრუგის უფროსთა ნუსხას და არტანუჯის უბნის კანცელარიის თანამშრომლების სიას.

ართვინის ოკრუგს 1881-1917 წწ. ხელმძღვანელობდნენ: 1881-1888 წწ. – მიხ. Pპავლეს ძე მეფისოვი; 1888 წწ. – ვასილ ილიას ძე ილიაშენკო; 1889-1900 წწ. – მიხეილ იაკობის ძე ერისთავი; 1900-1904 წწ. – პეტრე პეტრეს ძე შუბინსკი; 1904 წწ. – ართვინის ოკრუგის თანამდებობაზე ვაკანსია იყო. მოვალეობას ასრულებდა უფროსის თანაშემწე ვასილ პავლეს ძე ჩიქოვანი; 1905-1908 წწ. – გრიგოლ პეტრეს ძე ლოვენი; 1908-1912 წწ. – ემილი ივანეს ძე შმერლინგი, ვასილ ნიკ. დეკანოზოვი, ნიკ. სიმონის ძე. ზოსიმოვიჩი

არტანუჯის უბანი

არტანუჯის უბნის უფროსები იყვნენ:

1881-1900 წწ. – კარაპეტა არუთუნოვი; 1900-1905 – სტანისლავ ლისოვსკი; 1905-1911 წწ. – თ. ფარსადან გიორგის ძე მიქელაძე; 1911-1913 წწ. – რადიონ პაცანი; 1913-1916 წწ. – ნიკ. ივანოვი; 1916-1917 წწ. – მაკარი გორდელაძე;

არტანუჯის უბნის მწერლები:

1881 წლიდან – ივანე სრაბოვი; 1900-1909 წწ. – სიმონ იოსელიანი; 1909-1910 წწ. – ბექირ-აღა მუსტაფაევი – 1910-1912 წწ. – ივანე მიხაილოვი; 1912-1913 წწ. – ნიკოლოზ ლალაძე; 1913-1916 წწ. – მიკირტიჩ ზაქარიანი; 1916-1917 წწ. – მაკარი გორდელაძე; დავით კილაპტარი.

თარჯიმნები:

1881 წლიდან – ნერსეს ტერ-ანტონიანცი: 1900 წლიდან – მირონ პოღოსის მე ანემიანი.

XX საუკუნის დასაწყისში ქალაქი არტანუჯი მოინახულა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა. 1902 წელს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა სინას მთის მონასტერი მოინახულეს. ამ ექსპედიციის მიზანი იყო ასევე იერუსალიმის ქართული სიძველეების შესწავლა. სწორედ იერუსალიმში, საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ნ.მარმა აღმოაჩინა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტი. მართალია, 1903 წლისთვის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემა საშურ საქმედ ჩათვალა და დადგენილებაც მიიღო, მაგრამ ნ.მარი არ ჩქარობდა. მან ძეგლის სრულყოფილი გადმოცემისთვის იმ ადგილებში მოგზაურობა გადაწყვიტა, სადაც განვითარდა ნაწარმოებში მოთხრობილი მოვლენები – შავშეთსა და კლარჯეთში. ამ მიზნით, 1904 წლის 18 ივლისიდან 24 აგვისტომდე, ნ.მარმა ეს პროვინციები მოიარა და ძვირფასი ჩანაწერები დაგვიტოვა, რომელიც დღეს არა მარტო მეცნიერული კვლევა-ძიების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, არამედ ამ მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ აღწერილობის კუთხით ყველაზე სრული და უნიკალური წყაროა. ნ.მარმა ქალაქი არტანუჯი 5 აგვისტოს დაათვალიერა, 8 აგვისტოს კი უშუალოდ არტანუჯის აკროპოლისზე ავიდა.

აი რას წერს ნ.მარი XX საუკუნის დასაწყისის არტანუჯის შესახებ (ვსარგებლობთ შოთა ჯაფარიძის თარგმნით): *„არტანუჯის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ქვემო ქალაქის კუთხეში მდ. არტანუჯის ხეობაში. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მოპირდაპირე კლდეზე, მოსჩანს გამოქვაბული, მდ. არტანუჯი მოედინება ჩრდილოეთიდან, გაივლის ქალაქის მოედანს – ჩაედინება ჯეჰენემ-დერესის ხეობაში (ქართ. ჯოჯოხეთის ხეობა) შემდეგ მოუხვევს სამხრეთით. ჯეჰენემ-დერესში არის ე.წ. ბუზხანა, ე.ი. მაცივარი, რომელიც ბუნებრივ გამოქვაბულში არსებობს, სადაც, როგორც ამბობენ, ამ გამოქვაბულთან იყო წარწერიანი ქვა, რომელიც შემდეგ გაუტანიათ. მოედანი, სადაც აგებულა შემდეგ ეკლესია, ამჟამად სწორი ვაკე ადგილია და საკმაოდ ფართოა. მოედანი გაკეთებულია ხელოვნურად, ჩამონგრეული და გასწორებულია კლდე. ნიადაგი ძირითადად ქვიანია. ეკლესიის აღმოსავლეთით კედელი ნელ-ნელა ინგრევა. ეკლესიის ქვემო მხარეზე აგებული კედელი პატარაა, იგი ეტყობა აგებულია იმისათვის, რომ გასწორდეს მოედანი. თუმცა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს კედელი უფრო ადრინდელი აგებულია; იგი შეიძლება ძველი ეკლესიის ნაშთი იყოს, რომელიც სიღრმეში იყო აშენებული.*

ტაძარი შიგნით შელესილი და გამოხატული იყო. დასავლეთის კედელზე შემორჩენილია მოხატულობის მცირე ნაშთი. ჰქონდა თუ არა ტაძარს გუმბათი, ძნელი სათქმელია, ტაძარი ჯვრის ფორმისაა“. ნ.მარს დახასიათებული აქვს ტაძრის თითოეული დეტალი, ზომები. თვლის, რომ *“ეს ტაძარი კოლოსალური იყო თავისი სტილითა და არქიტექტურით. სამხრეთის კარებზე, ქვაზე გამოსახულია ორნამენტული პატარა ჯვარი. დასავლეთის კართან ასეთივე სახის უფრო მცირე მოცულობის ქვაზე გამოსახულია სწორი წმ. გიორგის ჯვარი.*

ქვემო ციხეს, ე.ი. თვითონ ქალაქს, გააჩნია ორი კარი, ერთი უფრო დიდი მუსულმანური (არაბული, მთარგმ.) წარწერით. ისინი მოთავსებული არიან აღმოსავლეთის მხარეზე. ციხესიმაგრის კედლებში ჩასმულია ორნამენტული ქვები. როგორც ჩანს, ეკლესიიდან არის წამოღებული. კარებიდან ორ რიგზე არის გამწკრივებული სახელოსნოები, მე შევიხედე სამკერვალო სახელოსნოში. აგურით არის ნაშენი, მშენებლობის სტილი ძველია, ასევე ძველი ქართული ფასადები გააჩნია სხვა სახელოსნოებსაც.

არტანუჯში ნაპოვნია ქვა სომხური წარწერით.

ციხესიმაგრის შემდეგი კარი მოთავსებულია ჩრდილოეთით, მიყრუებულ ადგილას, ის დანგრევის პირასაა, კარი დაახლოებით ხუთი ნაბიჯის სიგანისაა, სიმაღლე არც თუ ისე დიდია. მე შემეძლო ხელით მივწვდომოდი მას. ქუჩა, რომელიც ამ კარიდან იწყება, მიემართება სამხრეთ-დასავლეთით და მიდის მეჩეთის ჩრდილოეთ მხარეზე. ციხის კედელსა და კარის მიღმა, საკმაოდ მოზრდილი მოედანია, რომელიც თვითონ მდინარე არტანუჯის სანაპირომდე აღწევს. ამჟამად აქ სასაფლაოა. მაღალი კლდეებიდან

იწყება ციხის კედელი, რომელიც მიემართება ეკლესიის ნანგრევებისკენ, შემდეგ იწყება ისევ კლდე. მოედანთან, აღმოსავლეთის კუთხეში, კვლავ გრძელდება კედელი, რომელიც მიემართება დასავლეთის მოსახვევამდე. შემდეგ ისევ ბუნებრივი კლდეები, რომლებიც ჩართულნი არიან სიმაგრეთა სისტემაში.“

8 აგვისტო, კვირა

„ნაშუადღევს, სამ საათზე, მე გავემგზავრე არტანუჯის ზემო ნაწილში. იქ ასასვლელად ორი გზა არსებობდა. ერთი გზა იწყება სამხრეთის კუთხიდან, მიემართება კლდისაკენ. აქედან კი ციტადელისაკენ. ერთნი ამბობენ რომ ეს ყველაზე ძნელი გზაა, მეორენი ამბობენ, რომ ეს ყველაზე უფრო მოსახერხებელია ზემოთ ასასვლელათ. ყოველ შემთხვევაში, უფრო ნაკლებად საშიშია. თუ ამ გზას გაჰყვები, საჭიროა ყველა ფეხის ნაბიჯზე ბუჩქებზე ჩაბღაუჭება და ქვის სიპებზე ცოცვა, ის კაცი ვინც სამხრეთის გზაზე მიმითითებდა, არ უარყოფდა იმას, რომ არის ადგილი, კლდე ვიწრო ბილიკს შორის, სადაც მხოლოდ მუცლით თუ შეიძლება გახოხება. ამ პიროვნებამ მიჩვენა ეს არტანუჯის თერმოპოლი, როცა უკვე ჩვენ არტანუჯის ზემო ნაწილში ვიმყოფებოდით.

მეორე გზა ჩრდილოეთიდანაა. ამ გზაზე საჭიროა კიბის გამოყენება. განსაკუთრებით იმ ადგილას, როცა ზემო ქალაქში შედიხარ. კიბე ისე უნდა დაიდგას, რომ ზემოთ ამსვლელს შეიძლება თავბრუ დაეხვას, მარჯვენ მხრიდან გადახვევისას, ისეთი უფსკრულია და მას უეჭველი დაღუპვა ელოდება.

3 საათისათვის შევუდექით ასვლას ზემო ქალაქში. შემომიერთდნენ ცნობისმოყვარე არტანუჯელები. გზაში მე წავაწყდი უფროსს „ბუზხანეს“ – ბუნებრივ მაცივრებს. ამოვარდა ქარი, ამბობდნენ, რომ ახლა ზემოთ მძვინვარებს გრიგალი. ძნელი იქნება თავის შემაგრება. მე ნელ-ნელა, გადაქანცვის გარეშე, ავდიოდი ზემოთ. 20 წუთის შემდეგ უკვე ვიყავი ციხის კარიბჭესთან, ყოველგვარი სიძნელის გარეშე, ავედი კიბით ორ ადგილას. სხვათაშორის, კიბე გულითადად მათხოვა სატელეგრაფო სადგურის უფროსმა ბ-ნმა მანანდოვმა. არ ვიყავი მისული პირველ კლდესთან, რომ ხელმარჯვნივ დავინახე ქვის ნაყარი, რომელიც ამაგრებს კიდეც ნაგებობას. კიბეზე შორის გვერდულად იდო ქვის ფილა. როგორც მითხრეს, ამ ფილის ქვეშ დამალული იყო ეკლესიის ზარი. ამჟამად ტიფლისის მუზეუმშია დაცული ჩვენამდე მოღწეული ცნობებით.

კიბით მეორე ასვლის შემდეგ დამთვალიერებელი ერთადერთი პატარა მომცრო კარით პირდაპირ არტანუჯის ზემო ქალაქში მოხვდება.

ზემო ქალაქი, როგორც ჩანს, გარშემორტყმული იყო კედლებით, განსაკუთრებით კარგად არის დაცული კედელი, რომელიც ქალაქის შუაგულში იწყება და გრძელდება სამხრეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მხარემდე. სამხრეთის გზიდან, რომლითაც შევდივართ ზემო ქალაქში, შემორჩენილია მაღალი კედელი კოშკებით. კოშკების ნანგრევები შეგვხვდება სხვა ადგილებშიც. კედლები ნაშენია უბრალოდ, ყოველგვარი მოპირკეთების გარეშე. შენობების ძირში ჩადგმულია საშუალო სიდიდის ქვები, ხოლო ზემო ნაწილში კი მოთავსებულია უფრო მცირე ზომის ქვები, ხოლო ქალაქის მხარეზე აგებული უფრო გულდასმითაა გამოყვანილი და უფრო სქელია. ზემო ქალაქის ფართობი ამჟამად საკმაოდ მკვეთრად დაღარულია და დაღმართს წარმოადგენს. საეჭვოა, რომ ის ყოველთვის ასე ყოფილიყო. აქ მიმდინარის სეისმოლოგიურმა პროცესებმა, ძალიან შეცვალა ნიადაგის ზედაპირი. ბუნებაში შლის პროცესი ხორციელდება სიძველის გამოც. სამი წლის წინათ ზემო ქალაქში ჩამოშვავდა უზარმაზარი კლდე, უზარმაზარი მოწყვეტილი ლოდი, გაექანა პირდაპირ არტანუჯისაკენ, საბედნიეროდ მის ყველა თხლად დასახლებულ უბანში ლოდის ნატეხმა დაანგრია სამი სახლი და მოკლა ქალი. სამი დღით ადრე, ჩემს ჩამოსვლამდე, ზემო ქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთის კედელს დაეცა მეხი, მთელი არტანუჯი საშინელი განადგურების მოლოდინში იყო.

ზემო ქალაქის სამხრეთის ბოლო ნაწილში შეიმჩნევა ოთხი ნაგებობის კვალი.

მივდივართ რა ჩრდილოეთით, გზაში გვხვდება ძველთაძველი ნაგები წყალსაცავი, იგი გაკეთებულია სუფთად გათლილი ქვებისაგან.

ცენტრალურ ნაწილში, უფრო ქალაქის მხარეზე, დგას ეკლესია. ეკლესია ოთხკუთხიანია, საკურთხევლით, რომელსაც ნახევრად მომრგვალებული გუმბათი გააჩნია, ეკლესიასთან ჩრდილოეთის მხარეზე დგას წყალსაცავი, უბრალოდ ნაშენი, კარგად გალესილი, სჩანს ძველი წყალსადენის ნაშთი თიხის მილებით.

ეკლესია შიგნით შელესილია, სჩანს ყოფილი მოხატული, მაგრამ მახატულობის კვალი არ შემოჩენილა.

ეკლესიის გვერდით არის კიდევ მეორე აუზი, ოღონდ განსხვავებული ფორმით, იგი უფრო ბურთს მოგვაგონებს; ზემოდან ქვემოთკენ წაგრძელებულს. დასავლეთის მხრიდან დგას ძველი ბეღლის (ამბარის) შენობა, რომელიც ამჟამად ჩამოშლილი კლდის ნატეხებით არის სავსე.

ეკლესიის შესასვლელთან დასავლეთიდან ყრია კლდის ნატეხები და ნამსხვრევები, ეტყობა, რაღაც სეისმოლოგიური პროცესები მომხდარა.

აქ არის ხვრელი, ღრმა, თითქოს გაბურღული ჩასასვლელით. მე მითხრეს, რომ არის საფეხურები დაახლოებით 1 საჟენის მანძილზე. ჩემს დროს ჩაყარეს ქვები, ქვების ვარდნის ხმა ისმოდა დაახლოებით 12-14 სეკუნდი. ჩავუშვით ხუთსაჟენიანი რულეტკა, რომელიც ხის თავისაგან ბოლოვდებოდა, იგი თავისუფლად იქნა ჩაშვებული, შემდეგ „რულეტკა“-ს მოვაბით 10 საჟენი სიგრძის თოკი, მაგრამ ეს 15 საჟენიც არ აღმოჩნდა საკმარისი ამ მიწისქვეშა სიღრმის გასაზომად“.

არტანუჯში ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში მიედინებოდა, მანამ, სანამ 1914 წ. 28 ივნისს სარაევოში „ახალგაზრდა ბოსნიის“ წევრმა გავრილიო პრინცმა მოკლა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი. მალე პირველი მსოფლიო ომი გაჩაღდა. სამხედრო მოქმედებები რუსეთ-თურქეთის საზღვარზე გაიშალა. არტანუჯი ფრონტისპირა ქალაქად გადაიქცა.

პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის ჯარმა ოსმალთა სამხედრო ნაწილები დაამარცხა და არზრუმი და მისი მიდამოები დაიკავა. რუსების ხელში გადავიდა ასევე თორთუმის ხეობაც. მაგრამ მალე ეს წარმატება ისტორიის კუთვნილებად იქცა. 1917 წლის ნოემბერში პეტერბურგში დროებითი მთავრობა დაემხო და ბოლშევიკთა დიქტატურა დამყარდა. ლენინის მთავრობამ გერმანია, ავსტრია-უნგრეთის და თურქეთის ბლოკთან სამშვიდობო მოლაპარაკება გამართა ბრესტ-ლიტოვსკში. 1918 წლის 3 მარტს მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალით რუსეთი უარს ამბობდა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით თურქეთის ხელში უნდა გადასულიყო ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები. ქართული მხარე არ ესწრებოდა ამ მოლაპარაკებას, ფაქტიურად საქართველოს ინტერესების დამცველი ბრესტის ზავის დადებისას არავინ აღმოჩნდა. 1918 წლის მარტში ოსმალთა ჯარებმა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსებისგან დაკავებული ტერიტორია საბოლოოდ დაიბრუნეს (12 მარტს თურქებმა არზრუმი აიღეს). თურქეთმა ამჯერად ყარსის, არდაგანისა და ბათუმის დაცლა მოითხოვა.

1918 წლის 19 მარტს თურქებმა არდაგანი დაიკავეს, პარალელურად მიმდინარეობდა ბათუმის ოლქის ოკუპაციის სამზადისი. 15 აპრილს ქალაქი ბათუმი, ხოლო 17 აპრილს ოზურგეთი, ოსმალთა ხელში გადავიდა და არტანუჯში კვლავ თურქული მმართველობა დამყარდა. ბათუმის ოლქს სამხედრო გუბერნატორი ჩაუდგა სათავეში. პირველი გუბერნატორი იყო ჰამიდ-ბეი. ოლქის ქალაქების ადმინისტრაციაც თურქებით და, ნაწილობრივ, პროთურქულად განწყობილი რუსებით დაკომპლექტდა. თურქეთის მხარე ცდილობდა თავისი ეს დაპყრობა იურიდიულადაც გაეფორმებინა. 1918 წლის 4 ივნისს საქართველოსა და ოსმალეთს შორის დაიდო „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება, რომლის ძალით ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ იძულებით დათმო ბათუმისა და არტაანის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ერთადერთი რაც თურქებმა დიდსულოვნად „დათმეს“ იყო აბასთუმანი და აწყური.

არტანუჯის ციხე-ქალაქი ისევ თურქოსმალთა სახელმწიფოში მოექცა. მაგრამ მოვლენები მსოფლიოს პოლიტიკურ სცენაზე ელვისსისწრაფით იცვლებოდა. 1918 წლის შემოდგომაზე გერმანიაში დაწყებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ და გერმანია-თურქეთის სამხედრო ბლოკის პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამ, კარდინალურად შეცვალა ვითარება ამიერკავკასიაში. 1918 წლის 10 ოქტომბერს მუდროსის ზავით თურქეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა და ანტანტის სახელმწიფოთა წინადადებები მიიღო. სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო კვლავ გათავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით, საქართველო ინგლისის მოქმედების ზონად გამოცხადდა. 1918 წლის მიწურულს ოსმალებმა ბათუმისა და არტაანის ოლქი დატოვეს, მათ მაგიერ კი ამ რეგიონში ინგლისელთა ნაწილები ჩადგა. 1919 წლის იანვრისთვის საქართველოს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრებში ინგლისელი ჯარისკაცების განლაგება დასრულდა. ინგლისელთა ნაწილები ჩადგა ართვინშიც. ინგლისელთა ოკუპაციის დროს ბათუმის ოლქში უმაღლესი პირი იყო გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი. ინგლისელთა სარდლობის გადაწყვეტილებით, ბათუმის ოლქის ადმინისტრირება რუსულ ეროვნულ საბჭოს მიენდო, რომლის ხელმძღვანელი იყო კადეტი პ.მასლოვი. ოლქის სხვა ქალაქების, მათ შორის არტანუჯის საბჭოში კუკ-კოლისმა პ.მასლოვის წარდგინებით რუსი ჩინოვნიკები დაამტკიცა. თავიდანვე რუსმა ჩინოვნიკებმა პროქართული ძალების შევიწროვება დაიწყეს. ვითარება ოლქში უკიდურესად დაიძაბა. 1919 წლის თებერვალში ართვინში დაიწყო მოსახლეობის მღელვარება, რომელსაც არტანუჯელებიც თანაუგრძნობდნენ. ინგლისელებმა მოახერხეს ვითარების დროებით დარეგულირება. მარტის ბოლოს საპროტესტო გამოსვლებმა სერიოზული სახე მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობდა ართვინისა და არტანუჯის უბნები. კრიზისის თავიდან ასაცილებლად გუბერნატორმა კუკ-კოლისმა მასლოვი გადააყენა და რუსული ეროვნული საბჭოს ფუნქციონირება შეწყვიტა. მთელი ძალაუფლება ოლქში ინგლისელებმა აიღეს. ოსმალთა და რუსთა ბატონობის შემდეგ არტანუჯი ინგლისელთა ხელში აღმოჩნდა.

1919 წლის მაისში საბოლოოდ გადაწყდა ინგლისელთა საქართველოდან გასვლის საკითხი. თუმცაღა, ეს პროცესი ერთ წელზე მეტხანს გაიწელა. 1920 წლის 7 ივლისს ინგლისელმა ჯარისკაცებმა ბათუმი დატოვეს. მთელს ოლქში ქართული ხელისუფლება დამყარდა. ოლქის განსაკუთრებულ კომისრად დაინიშნა ჩხიკვიშვილი.

არტანუჯის ციხე-ქალაქი ზუსტად 368 წლის მონობის შემდეგ ისევ დაუბრუნდა, უშუალოდ, დედა სამშობლოს. ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა ქართული ჯარის შემოსვლას. ბორჩხაში, ართვინში, არტანუჯში, მოსახლეობა პურ-მარილით ეგებებოდა თანამოძმეებს. 8 თვე ტაო-კლარჯეთის დედაქალაქი ისევ ქართულ ქალაქს, პატარა ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა.

1921 წლის თებერვალში საქართველოს სამხრეთიდან თურქეთი, ხოლო დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან რუსეთი შემოესია. 23 თებერვალს, ორი დღით ადრე, ვიდრე წითელი არმია თბილისს დაიკავებდა, თურქებმა არტაანი, არტანუჯი და ართვინი დაიკავეს. დაიწყო მოლაპარაკება თურქებისადმი ბათუმის გადაცემაზე. აშკარა იყო, რომ თურქეთი და რუსეთი ერთობლივად მოქმედებდნენ. საბოლოოდ, სამხრეთ საქართველოს ბედიც ამ ორმა სახელმწიფომ განსაზღვრა. მოსკოვში, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებისას, გადაწყდა, რომ თურქეთი დაიკავებდა არტაანს, ართვინსა და ყარსს, ხოლო რუსეთს „წილად ხვდა“ აჭარა ქ. ბათუმითურთ.

1921 წელს საქართველომ კიდევ ერთი შანსი დაკარგა ძირძველი ქართული მიწების შემომტკიცებისა.

არტანუჯის ციხე-ქალაქი კვლავ თურქეთის შემადგენლობაში დარჩა.

ღობიეთის მონასტერი

ასპინძის რაიონში არაერთი ისტორიული ძეგლია, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები ან საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს, მეტად მწირ ცნობებს შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ნასოფლარ ღობიეთის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ძეგლთა ასეთ სახეობას მიეკუთვნება.

ასპინძიდან ახალციხისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც მდინარე მტკვარზე პატარა, ფოლადის ბაგირზე დაკიდებული ხიდი ორგორა-საყუდაბლისკენ მიმავალ გზას აერთებს, მგზავრის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს გზის მარჯვენა მხარეს წამომართული ეკლესია, რომელიც ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ახაშნის ეკლესიის სახელწოდებითაა მოხსენებული. აღნიშნული ეკლესია საშუალო ზომისაა, მისი ზომებია – 10,4X5,6 მმ. იგი არქიტექტურული თვალსაზრისით ერთნავიანი ბაზილიკური ნაგებობაა, რომელსაც დასავლეთის მხრიდან აქვს გვიანდელი პერიოდის მინაშენი. ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე, დასავლეთით, მოთავსებულია დიდი ზომის ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა და ბარელიეფი. ბარელიეფზე გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც ხელში ეკლესიის გუმბათიანი მაკეტი უჭირავს და მიართმევს ბარელიეფის საპირისპირო მხარეს გამოსახულ წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი ცხენზეა ამხედრებული და ტრადიციულად შუბით გმირავს მის ფეხქვეშ გართხმულ კაცს. აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა გიორგი, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, საეკლესიო სახვით ხელოვნებაში ორი კომპოზიციით წარმოგვიდგება: პირველი – ცხენის ფეხქვეშ გართხმული კაცი იმპერატორი დიოკლიტიანეა, ხოლო მეორე გამოსახულებით – ურჩხულია. რელიეფის მარცხენა მხარეს წარწერაა: ***„ქრისტე შეიწყალე ნიაღვარა ძე საურმაგისი“.*** მარჯვენა მხარეს კი მინიშნებულია წარწერა: **„წმინდა გიორგი“**. შესაძლებელია აღნიშნული ეკლესიის რელიეფი აღნიშნავდეს ეკლესიის აღმშენებლის გამოსახულებას, ხოლო ნიაღვარა საურმაგის ძე, – მის ვინაობას. იმის დადგენა, თუ ვინ იყო საურმაგის ძე, ნიაღვარა, რა ადგილი ეკავა მას სამხრეთ საქართველოს ფეოდალურ იერარქიაში, სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო, ვინ არის, თქმა ჭირს, მხოლოდ იმის შენიშვნა შეიძლება, რომ იგი ადგილობრივი შეძლებული ფეოდალია და ამავე ტერიტორიისა და სოფლის მფლობელიც. რაც შეეხება ეკლესიის ხუროთმოძღვრულ სახეს: ეკლესია აგებულია ადგილობრივი ბაზალტის ქვისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ეკლესიის აგების თარიღად XI საუკუნეა მიჩნეული.

ნასოფლარი ღობიეთი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ტერიტორიულად კი ეკუთვნის ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ ზველს და მის ბაღებად ითვლება მტკვრის ხეომაში. მას „ჩრდილოეთიდან მარცხენა სანაპიროზე ჩამოუდის მდ. მტკვარი. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნასოფლარი ქორეთი, დასავლეთიდან ნასოფლარი ძველა მუსხი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – სოფელი ძველი. ღობიეთი, როგორც სოფელი, ფრაგმენტულად მოხსენიებულია ზოგიერთ ქართულ წერილობით წყაროში,[1] მაგრამ იქ არსებულ ეკლესია-მონასტერზე არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა-ანგარიშში დაფიქსირებულია როგორც IX საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა.[2]

ღობიეთის ეკლესია მდებარეობს სოფელ ძველთან, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ნასოფლარ ღობიეთის ტერიტორიაზე. ეკლესია აგებულია მე-9 საუკუნეში, კარგად გათლილი ტუფის და კლდის ფლეთილი კირქვისაგან. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკის ტიპის უნდა ყოფილიყო (?), ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია. გადახურვის კამარები ჩამოქცეულია.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემებით, ღობიეთი ორი სახელით არის მოხსენიებული – ***„სოფელი ზემო ზურზელი – ღობიეთი (?), რომელიც შედის ასპინძის რაიონში და ექვემდებარება ახალციხის ლივას“.***

სოფელი იმ დროისთვის საკმაოდ დიდი – **61 კომლიანი დასახლება ყოფილა, 1525 მაცხოვრებლით.** თითქმის ყველა ოჯახის უფროსისა და მათი მამების სახელები ქართულია. ესენია: ***„ასლან, არაბა, საბია, ბარამ, იასა. მახარე, ზაზა, ოქრო, სულთან, აღდგომელა, პაპუნა, სიმონა, იონა, ვარძელ, ოთარა, იასონ, იოსებ, კაკალა, ბასილა, გრიგოლ, მახარგულ, დავითა, ელიზარ, გერმანე, ღვინია, დანიელ, შავგულა, ბიძინა“*** და ა. შ. მოსახლეობა გადასახადს სხვა პროდუქტებთან ერთად ღორის შენახვისთვის და საქორწილო გამოსაღებს

ოფიციალურად იხდის, რომელიც მხოლოდ ქრისტიან მოსახლეობაზე იყო შენერილი. აქვე აღნიშნულია, რომ ***„ვენახი ზაალისა ადგილ ღობიეთში (?) აწ აღას მფლობელობაში {მყოფი}, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 30 {ახჩას იძლევა}.“***[3] როგორც მონაცემებიდან ჩანს, XVI საუკუნის ბოლოს ამ სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ მამაპაპური სარწმუნოების მიმდევარია.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ღობიეთში ქართული მოსახლეობა აღარ ჩანს და ინფორმატორთა გადმოცემით ამ სოფელს თარაქამები იკავებენ, რომლებიც 1944 წელს შუა აზიაში გაასახლეს.[4] მოსახლეობისგან დაცლილი სოფელი ღობიეთი კი თავის ბაღ-ვენახიანად სოფელ ზველს გადაეცა. თითოეულ მოსახლეს 25 მეასედი ბაღი გაუფორმეს, დანარჩენს კი მებაღეობის ბრიგადის მეშვეობით, კოლმეურნეობა ამუშავებდა.

2019 წელს შედგენილი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათის მიხედვით „ეკლესია მინაში ღრმად ჩამჯდარი სამეკლესიანი 12X10,2 მ. ბაზილიკაა. ნაგებია შავი და ვულკანური წარმოშობის ბაზალტით. კუთხეებში და სხვა კონსტრუქციულ ნაწილებში გათლილი ქვაა გამოყენებული, შუა ეკლესია შედარებით მაღლაა აზიდული. ეკლესიის სამხრეთით არის რაღაც შენობის (სავარაუდოდ სამრეკლოს) ნანგრევი, შენახულია კედლების ნაშთი. ამ ნანგრევის აღმოსავლეთით გდია სახეებიანი სვეტის ნაწილი. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ეკლესია და მისი ნაწილები ერთ დროსაა აშენებული.

ტაძარი დანგრეულია, კამარა და კედლების ნაწილი ჩამონგრეული, ნაგებობა ნანგრევით არის სავსე. გვერდებისა კი ჩრდილოეთის ნაწილის აღმოსავლეთი მხარის გარდა, სულ დაქცეულია. შემორჩენილი კედლები ამჟამად დაბზარულია. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ბარათში ძეგლი VIII-IX საუკუნეებითაა დათარიღებული.[5]

გასული საუკუნის 30-იან წლებში ღობიეთის მონასტერი მოინახულა და აღწერა **გიორგი ბოჭორიძემ.** მისი მითითებით, ღობიეთის მეორე ***„ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით 1 ვერსზე, ბაღებში. იგი გალერეებიანი თუ სამწირველოებიანი შენობაა 12 +10,2 მ. ნაგებია გარედან თლილი ქვისაგან, შიგნით ნაწილობრივ

*თლილი და ნაწილობრივ სწორპირიანი ქვისაგან. თვით ეკლესია ზომით არის 8,5 + 3,8 მ. დღეს ნანგრევებილაა. შენახულია მხოლოდ ეკლესიის კედლები. გვერდებისა და ჩრდილოეთის ნაწილის აღმოსავლეთი მხარის გარდა სულ დაქცეულია და ნანგრევებით არის სავსე. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ეკლესიის ყველა კედელი კარგად არის შენახული, მხოლოდ დასავლეთი ნახევარი დაქცეულა. თვით ეკლესიაც და მისი ნაწილებიც სულ ნანგრევებით არის სავსე. ეკლესია და მისი ნაწილები ერთ დროს არის აშენებული. ეკლესიის სამხრეთით ნანგრევში დგას სვეტი შემკული ოთხივე მხარეს სახეებით (უბრალოა), ზომით იქნება – სიმაღლით (დედამიწის ზემოთ) 0,8 მ. სისქე – სიგანით 40 სმ. ეკლესიის სამხრეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი, შენახულია კედლების ნაშთი. ამ ნანგრევის აღმოსავლეთით გდია სვეტი სახეებიანი. ეკლესიის ჩრდილოეთი ნაწილის აფსიდა (უთაღოდ) შენახულა, მას სარკმელი აქვს აღმოსავლეთით. ეკლესიაში ეკლესია ამოსული, ჩრდილოეთ ნაწილში ცირცელის ხე. ყველა ნაწილი ნანგრევით არის სავსე.“***[6] იგი თვლის, რომ ღობიეთში ეს მეორე ეკლესიაა. სამწუხაროდ, იგი არ აფიქსირებს პირველი ეკლესია სად არის და რა მდგომარეობაშია. აღნიშნული ეკლესია რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული ამის შესახებ ბოჭორიძე არაფერს ამბობს. იმ პერიოდისათვის მეჩეთი აგებული რომ ყოფილიყო, იგი მასაც დააფიქსირებდა.

ზველის მოსახლეობის გადმოცემით, საერთოდ კი, ნასოფლარ ღობიეთის ტერიტორიაზე ოთხი ეკლესია ყოფილა. აქედან მხოლოდ ორს ასახელებენ თუ რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული. ჩვენს მიერ დაფიქსირებული ტაძარი ღვთისმშობელ მარიამის სახელობისა ყოფილა და იქ დედათა მონასტერი ფუნქციონირებდა. მათივე მითითებით ღობიეთში მეორე ეკლესია კი წმინდა გიორგის სახელობისაა. წარსულში მარიამობის დღესასწაულს (28 აგვისტო) ამ მონასტერთან, ხოლო გიორგობას (6 მაისი) წმ. გიორგის ეკლესიასთან დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ. საერთოდ კი,

ნასოფლარ ღობიეთის ტერიტორიაზე ოთხი ეკლესია ყოფილა.

მეტად საინტერესოა ნანგრევებს შიგნით არსებული, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის სტელა, რომლის ზედაპირის კიდეები მოჩუქურთმებულია, წინა მხარეს კი, ვფიქრობთ, ჯვარცმული ქრისტეა ამოტვიფრული. ამასთან დაკავშირებით, მასალების მოძიებისას, კანკელის საინტერესო ფოტო-ნიმუშს **გურამ ლორთქიფანიძისა** და **გ, ყიფიანის** სტატიაში წავაწყდით. ისინი განიხილავენ რა მცხეთაში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს, აღნიშნავენ: ***„წმინდა ნინოს მიერ ეკლესიად ნაკურთხ ამ სინაგოგაში პროზელიტების გარდა მცხეთელი დიდებულებიც მოინათლნენ. ჩვენი ვარაუდით, ეს პირველი ქრისტიანული ტაძარი ახ. წ. აღით IV საუკუნეში იდგა, დღევანდელი გეთსემანიის ეკლესიის ადგილას, მტკვრისპირა შემაღლებაზე. აქ აღმოჩენილი სვეტის ნაწილი – კანკელის ფილა და IV საუკუნის ნაგებობის საძირკველი, რომელიც სინაგოგის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.“***[7] *{გ. ლორთქიფანიძე, გ. ყიფიანი, „მოქცევაი ქართლისაი“ და მცხეთის გალუეთი გვიან ანტიკურ ხანაში/ისტორიანი, 2009, გვ. 469}*. ვფიქრობთ, ღობიეთის მონასტერში არსებული სტელა თუ კანკელი, გარეგნული დათვალიერებით, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს მცხეთის გალუეთში დაფიქსირებული უძველესი საუკუნის კანკელთან.

საერთოდ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში საკურთხეველი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს შემაღლებულ ადგილას. იგი წარმოადგენს მაღალ სამსხვერპლოს და ტაძრის ცენტრალური ნაწილისგან გამოყოფილია კედლით, ტრაპეზზე საიდუმლოდ, უხილავად სუფევს თვით უფალი, როგორც მეუფე და მბრძანებელი ტაძრისა. მასთან მიახლოება და ამბორი მსოლოდ ღვთისმსახურებისთვისაა დასაშვები. ტრაპეზი ოთხკუთხა და მირონცხებული მაგიდაა, ძვირფასი ქსოვილით შემკული. მასზე ასვენია ლიტურგისათვის აუცილებელი სიწმინდეები: ოდიკი, სახარება, წმიდა სანაწილე, ჯვარი, შვიდსანთლა.

წმინდა ტრაპეზი ყოველთვის ოთხკუთხედია და ამაღლებული. ამას თავისი მიზეზი აქვს:

1) ოთხკუთხედია, რადგან „იესო შეიწირება დედამიწის ოთხივე მხარეს მყოფთათვის" და საჭიროა, მას ყველა ხედავდეს და იღებდეს. მაღალი უნდა იყოს იმიტომ, რომ მასზე სრულდება ამაღლებული და ზეციური საიდუმლო.

2) ტრაპეზი დგას ერთ ან ოთხ ბოძზე ან კიდობანზე. ერთი ბოძი აღნიშნავს ლერწმით გვემულ მაცხოვარს და იმ ლერწმის კვერთხს, რომლითაც ქრისტემ შემუსრა გველის (ბოროტის) თავი. ოთხი ბოძი აღნიშნავს ოთხ მახარებელს, მოციქულებს. კიდობანი წარმოადგენს ხის, ქვის, ვერცხლის და სხვა მასალისაგან შეერთებულ კედლებს და მოგვაგონებს მოწამეთა საფლავს, რომელზეც პირველი ტრაპეზი აღიმართებოდა. საქართველოში ქვის სატრაპეზო ამკობს VII-IX საუკუნეებში აგებულ არაერთ ეკლესიას (ქარელის, წითელწყაროს და ა.შ. მუნიციპალიტეტები).

დღეისათვის ეს ნამონასტრალი **ზაალ ზედგინიძის** კუთვნილ ბაღის ნაკვეთშია მოქცეული. ბატონ ზაალს ვთხოვე მეგზურობა გაეწია და ამ ეკლესიის შემორჩენილი ნაშთები დამეთვალიერებინა და ფოტოსურათები გადამეღო. იგი სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ მოახერხა. მის ნაცვლად მეგზურობა მისმა მეუღლემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **თინა გელაშვილმა** გამინია და რომ არა ის, მე ამ ძეგლის ნაშთებს ვერ მივაკვლევდი.

ნაეკლესიარს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. როგორც ჩანს, ეკლესია სამნავიანი უნდა ყოფილიყო. შენობის ნანგრევები სიგრძით 30 მეტრზე მეტია, სიგანით კი 15 მეტრს აღწევს. ნანგრევები ქვა-ღორღითაა თითქმის ამოვსებული. მკვლევართა ნაწილის აზრით, ღობიეთის ეკლესია უძველესია და VII ს-ით თარიღდება.[8]

თინა იველაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1 ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, თბ., 1973. გვ.
2 ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა-საანგარიშო, კრებული. - თბ.,1998.-გვ.197
3 „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, 1, თბ., 1941, გვ. 131-132.
4 იველაშვილი თ. 1989 წლის სამცხე-ჯავახეთში მივლინების მასალები.
5 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი, 2019 წელი
6 გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთშ, თბ., 1992, გვ. 104-105.
7 გ. ლორთქიფანიძე, გ, ყიფიანი, „მოქცევაი ქართლისაი“ და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში/ისტორიანი, 2009, გვ. 469.
8 Г. Джамбурия, К. Мелитаури, Ш. Хантадзе, Н. Шошиашвили, Вардзия, Тб. 1957, с. 38,

ტარიელ ფუტკარაძე - „ქართველოგიის

გამოვიდა პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის 340-გვერდიანი მეცნიერული წიგნი „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ („უნივერსალი“, თბილისი, 2019).

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის ფონზე ნაშრომში ნაჩვენებია ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების ნათელი სურათი და მათი შესაძლო დაძლევის გზები.

ქრონოლოგიური ჩარჩო წიგნისა მოიცავს 200 წელს. სწორედ 200 წლის წინ შემუშავდა რუსული იმპერიული გეგმა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლისა, რომელიც პერიოდულად აქტიურდება და გააქტიურდა დღესაც.

ეს წიგნი არ არის ორ დღეში დაწერილი, არამედ იგი იწერებოდა, შეიძლება ითქვას, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და აი, როგორ:

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, 1995 წლიდან დღემდე თითქმის ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური საერთაშორისო კონფერენცია: **„ქუთაისური საუბრები“** და **„ქართველური მემკვიდრეობა“.** ოცდაორი კრებული ამშვენებს დღეს ქართული წიგნის თაროს – ნაყოფი ამ კონფერენციებისა.

„ქუთაისური საუბრების“ სამეცნიერო ფორუმებს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევდა სჯა-ბაასი იმ პრობლემებზე, რომლებსაც ეძღვნება ტარიელ ფუტკარაძის ნაშრომი. შესაბამისად, შეიძლება ამ წიგნს, ასე ვთქვათ, ამ კონფერენციათა ერთგვარი რეზიუმეც ვუწოდოთ.

წიგნის რედაქტორია პროფესორი **მერაბ ჩუხუა,** რომლის წინასიტყვაობაც უძღვის ნაშრომს. ასევე ერთვის მას პროფესორების: **ნუგზარ ანთელავას, ეკა დადიანისა** და **რევაზ შეროზიას** რეცენზიები.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ხუთი თავისგან, ესენია:

1. ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში;
2. საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის კონტექსტში“;
3. ტერმინოლოგიური დივერსიები;
4. ქართული ენის ტექნოლოგიზება;
5. ქართველთა ენობრივი დაცვის პერსპექტივა.

ბოლოს წარმოდგენილია შემაჯამებელი მსჯელობა, დანართები, რეცენზიები.

წიგნში, პირველად, მდიდარ დოკუმენტურ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგიის ზემოხსენებული ხუთივე გამოწვევა,

შესავალში წიგნის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მეოთხე საუკუნიდან, ანუ მას მერე, რაც საქართველომ გააკეთა ისტორიული არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ***„ქრისტიანობა, როგორც მსოფლმხედველობა და დასავლურ-კავკასიური კულტურა, ქართველთა იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა“,*** ხოლო 1555 წელს, ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავის შემდეგ, მუსლიმანური იმპერიების აგრესიით შეწუხებული ქართველი ხალხი როგორი იმედით უყურებდა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიას, რომელმაც საპირისპირო რამ გააკეთა – ქართველთა ასიმილაცია დაიწყო (19);

როგორც ტ.ფუტკარაძე წერს: ***„რუსმა მოხელეებმა შეიმუშავეს სტრატეგია, რომლის მთავარი მიმართულება იყო ქართველთა დედაენის გავრცელების არეალის მაქსიმალურად შეზღუდვა; ამ სტრატეგიის ხერხემალი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ფსევდომეცნიერული იდეოლოგემა ე. წ. ოთხი ქართველური ენის შესახებ“*** (20).

მივყვეთ თავებს, რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად:

თავი I.

„ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში“;

ქვეთავები:

1. „ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი“;
2. „ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემის შექმნის ისტორია“;
3. „ჩხოუშიელი ავტონომისტები“;
4. ისაკ ჟვანიას ჯგუფი;
5. ლავრენტი ბერიას პოზიცია;
6. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემა;
7. „ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ ორი ძირითადი თვალსაზრისი (ისტორიული ანალიზი)“.

პირველი შთაბეჭდილება, რაც ამ თავის ქვეთავებთან დაკავშირებით დამრჩა, ის არის, რომ ისინი, პრობლემისადმი მეცნიერული წვდომით, დოკუმენტური მასალის სიმდიდრითა და მათი ანალიზით, ცალკეული წიგნების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

„ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზში“ წიგნის ავტორი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთელი ექსპერტებისთვის მადეზორიენტირებელია არა მხოლოდ რუსულ, არამედ ქართულ სივრცეში დღემდე გაბატონებული მიდგომებიც (31).

აქვე ავტორი მსჯელობს „ოთხი ქართველური ენის“ იდეოლოგემის შექმნის ისტორიაზე და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს იდეოლოგემა შეიქმნა რუსეთის იმპერიაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების მერე, რომელიც გაბატონებულ სამეცნიერო იდეოლოგიად აქცია ნ. მარისა და ი. სტალინის ავტორიტეტებმა.

საყურადღებოა მსჯელობა ქართული სამწიგნობრო ენის წარმოშობასთან დაკავშირებით; კერძოდ, წიგნის ავტორი, უახლეს მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, წერს, რომ „კოლხური არქეოლოგიური კულტურის არეალში იყო ძვ.წ.აღ-ით II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა, რომელზეც დაფუძნდა ქართველთა სამწიგნობრო ენა“(37); რომ „საერთოქართველური ენის საფუძველზე – თანამედროვე ქართველთა ყველა ენობრივი ქვესისტემისათვის ამოსავალი ენობრივი ვარიანტის საფუძველზე (და არა ქართლ-კახურ დიალექტზე) – შექმნილმა ქართულმა სამწიგნობრო ენამ, საქართველოს სახელმწიფოს რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში არსებობის მიუხედავად, XX საუკუნემდე უზრუნველყო ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება“ (38).

აქვე საუბარია, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან როგორ ცდილობდნენ რუსი მოხელეები, გამოედევნათ ქართული ენა სვანეთიდან და სამეგრელოდან, რა მიზნითაც რუსმა გენერალმა **უსლარმა,** რუსული ანბანის საფუძველზე შექმნა სვანური ანბანი, ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა **ალ. გრენმა** – მეგრული ანბანი; **ივანე პეტროვმა** და **თადა აშორდიამ** კი შექმნეს მეორე მეგრული ანბანი და საკითხავი წიგნი მეგრულად. მეცნიერი აღწერს იმ მძიმე ვითარებას, რომელიც შეიქმნა 1886 წელს, როცა **ლევიცკი** ცდილობდა, სამეგრელოს სკოლები გადაეყვანა მეგრულ „ენაზე“ და შეექმნა მეგრული „სამწიგნობრო კულტურა“, ხაზგასმულია, რომ ამ გზით რუსი მოხელეები ცდილობდნენ, სამეგრელოს მოსახლეობისათვის წაერთმიათ მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ავტორია თავად სამეგრელოს მოსახლეობა.

პროფ. ტ. ფუტკარაძე უფრო დეტალურად აღწერს მომდევნო კრიზისს, ბოლშევიკების ბატონობის პირველ ეტაპზე შექმნილ ვითარებას: 1925 წელს **ციბაკ ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ** და კიდევ 18 პირმა „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით მიმართეს „სრულიად რუსეთის სტაროსტას, მამა მიხეილ ივანეს ძე კალინინს“; დოკუმენტში ორი ძირითადი მოთხოვნა იყო: 1. სამეგრელოს ავტონომიის უშუალო დაქვემდებარება მოსკოვზე, საქართველოს სუვერენიტეტის გარეშე, რომ „სამუდამოდ განმტკიცდეს სამეგრელოსა და რუსეთის მშრომელთა კავშირი“; ავტონომიის სახელის ორი ვარიანტი იყო შემუშავებული: ან ლაზ-კოლხიდა, ან: მარგალისტანი“ (57). აქვე საუბარია იმაზე, თუ როგორ ცდილობდა **ისაკ ჟვანია** სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას, მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას (60).

თემას აგრძელებს საინტერესო ქვეთავი: „ლავრენტი ბერიას პოზიცია“; მასში ნაჩვენებია, თუ როგორ შეეწინააღმდეგნენ ნ. მარისა და ი. სტალინის იდეოლოგემას ქართველი საზოგადო მოღვაწეები: **კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია, შალვა დადიანი...** პარტიული მუშაკები: **ალ. გეგეჭკორი** და **ლ. ბერია;** ენათმეცნიერები: **სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია...** აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ გაიხსნა და დაიხურა შემდეგ მეგრული სკოლები. წარმოჩენილია ამ საქმეში ლ. ბერიას სწორი პოზიცია. ავტორი ყველგან ხაზს უსვამს, რომ მეგრული „ენისა“ და სამეგრელოს ავტონომიის საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე არა სამეგრელოში, არამედ რუსეთის იმპერიის ცენტრში.

ტ. ფუტკარაძე სამართლიანად აღნიშნავს: ნ. მარისა და ი. სტალინის თეორიული „დებულებები“ დღემდე მიზანმიმართულადაა გაბატონებული რუსულ სამეცნიერო ველში; დღემდე სვანური და მეგრულ-ლაზური / ან ლაზურ-მეგრული/ ქართულისაგან განსხვავებულ „უმწერლობო ქართველურ ენებადაა“ გამოცხადებული (113), რაც ისტორიის გაყალბებაა: მოგეხსენებათ, უმწერლობო ენა იმ ხალხის ენაა, რომელსაც დედაენაზე არა აქვს მწიგნობრობა; არადა, თუ ვინმეა ქართული სამწიგნობრო ენის შემქმნელი, ვართ ჩვენ მეგრელ-ლაზები, სვანები; რა თქმა უნდა, სხვა ქართველებთან ერთად.

პირველი თავის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია, რომ არამეცნიერულია და დიდი საფრთხის შემცველია „უმწერლობო ქართველური ენების“ დაძველების უსაფუძვლო მცდელობა, რადგან ეს არის ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრების გზა.

თავი II.

საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის კონტექსტში.

ძნელია წიგნის რომელიმე თავი განსაკუთრებულად გამოყო, ყველა თავში არსებითი პრობლემებია წარმოდგენილი, მაგრამ რადგან ამჯერად მწვავეა მეგრულისა და სვანურის ენობრივი სტატუსის პრობლემა, მეტ ყურადღებას დავუთმობ მეორე თავს:

მოწმენი ვართ იმისა, რომ არ თავდება კამათი მეგრულისა და სვანურის ენობრივ სტატუსთან დაკავშირებით. არც იმის კონტურები იკვეთება, რომ ახლო მომავალში გადაწყდება ეს პრობლემა, რადგან ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ზუსტად, თუ სად გადის ზღვარი ენასა და დიალექტს შორის; მსოფლიოში არსებული დაახლოებით შვიდი ათასამდე ენიდან ნახევრის სტატუსი გაურკვეველ მდგომარეობაშია, მათ შორის არის მეგრული და სვანური.

1992 წელს ევროსაბჭომ გამოაქვეყნა „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“, რომლის მიხედვით, „მაღალი ხარისხით“ უნდა იყოს დაცული რეგიონის ან უმცირესობის ენა; მაგალითად, დაწყებით კლასში მაინც უნდა იყოს სწავლება რეგიონულ ენაზე, უნდა არსებობდეს ტელემედია და პრესა რეგიონული ენაზე, უნდა იყოს გამოყენებული საქმის წარმოების ენად რეგიონული ენა უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში და ასე შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს მთავარი: „ენის ქარტიაში“ ხაზგასმით წერია, რომ მოცემული მეტყველების სტატუსი: **„ენაა“ თუ „დიალექტი, უნდა განსაზღვროს მოცემულმა სახელმწიფომ რეალური ისტორიიდან და რისკებიდან გამომდინარე; ასევე, მოცემული სახელმწიფოს უფლებაა, „რატიფიკაციის“ დოკუმენტს დაურთოს „საფრთხის ქვეშ მყოფი „რეგიონული ენების“ თუ დიალექტების ჩამონათვალი.** როგორც წიგნის ავტორი ხაზს უსვამს, ჯერ-ჯერობით, გარკვეული რისკების გამო, ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ შეუერთდა „ენის ქარტიას“, მხოლოდ ნახევარმა –24-მა მოახდინა მისი რატიფიცირება, 9-მ მოაწერა ხელი მას, ხოლო 15-ს არ ჩამოუყალიბებია თავისი პოზიცია, რომელთა შორის არის საქართველოც (126).

ამ ფონზე საინტერესოა, თუ როგორ იქცევა არაბული სამყარო ენის სტატუსთან დაკავშირებით:

არსებობს 340-მილიონიანი არაბული სამყარო, 22 ქვეყნით, ერთი სალიტერატურო ენითა და მრავალი დიალექტით, რომლებიც შედგება ორი ჯგუფისგან, აღმოსავლური და დასავლური.

აღმოსავლურში შედის: ეგვიპტური, სუდანური, სირია-პალესტინური, იორდანული, არაბეთის ნახევარკუნძულებისა, მის მახლობლად მდებარე კუნძულებისა, ერაყული და შუა აზიური.

დასავლური დიალექტებია: მაროკოული, ალჟირული, ტუნისური, ლიბიური, მაღრიბულის ევროპული კილოები: ანდალუსიური, სიცილიური (დღეს უკვე მკვდარია) და მალტური (მას მერე, რაც მალტა შეუერთდა ევროკავშირს, ეწოდება მალტური).

მალტურის მსგავსად, განკერძოებით დგას აღმოსავლეთში შუა აზიის არაბული დიალექტები (კაშკადარიისა და ბუხარის რაიონებში), რომლებიც მესოპოტამიის დიალექტებთან ჩანს დაკავშირებული.

გარდა ამისა, მიღებულია არაბული დიალექტების დაყოფა სოციალურ ფენათა შორის არსებული განსხვავების მიხედვით. ამ მხრივ გამოიყოფა სამი დიალექტი: ბედუინების, ფელაჰებისა და ქალაქელების.

დიალექტები მეტნაკლებად არიან დაშორებული ერთმანეთისგან, ზოგჯერ იმ დონეზეც, რომ მათ შორის ურთიერთგაგება არც არის. ზოგიერთი, მაგალითად, შუა აზიური არაბული დიალექტი ისეა დაშორებული არაბულ ენათა ოჯახს, რომ მათ შორის არამც თუ ურთიერთგაგება, ნათესაური კავშირიც კი გამქრალია, მაგრამ ის მაინც არაბული ენის დიალექტად იწოდება.

როგორც ვხედავთ, არაბები ენის სტატუსს ანიჭებენ მხოლოდ სალიტერატურო არაბულს, როგორც არაბული სამყაროს გამაერთიანებელ ძალას და არა – დიალექტებს; მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რა მოჰყვება დიალექტებისათვის ენის სტატუსის მინიჭებას ერთიანი არაბული სამყაროსთვის.

მაშინ, როცა 340-მილიონიან არაბებს ჰყოფნით ერთი სალიტერატურო ენა, ჩვენ, ისეთ ერს, 5 მილიონიც რომ არა ვართ, რატომ არ გვყოფნის ერთი და რატომ ვისწრაფვით იქითკენ, რომ გვქონდეს სამი ან ოთხი სალიტერატურო ენა, რომელიც, ხომ ცხადია, სადამდე მიიყვანს თვით ამ ენებს.

დავუბრუნდეთ „ენის ქარტიას“, რომელშიც ხაზგასმით წერია, რომ **„ენისა და კილოს სადავო საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არამხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქოსოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორზე, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს“.**

თუკი ენის სტატუსთან დაკავშირებით სადავო საკითხების გადაჭრა შეიძლება **არამხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორზე დაყრდნობით** და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვენ რატომ უნდა მივიღოთ მაინცდამაინც ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს

თანამედროვე გამოწვევები“

უწყობს საერთო ქართველური სამყაროს ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლას?

ორი აზრი არ არის იმაში, რომ მეგრული და სვანური უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი, მაგრამ არა „ოთხი ენის იდეოლოგიის“ მიხედვით (რომელიც ოთხ ეთნოსად დაანაწევრებს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ერს).

თავი III.

„ტერმინოლოგიური დივერსიები“.

როგორც წიგნის ავტორი წერს: „არაიშვიათად, დაინტერესებული მხარე გააზრებულად იყენებს არაადეკვატურ ტერმინს, ან რომელიმე საზეიმო/სამგლოვიარო დღეს ისე არქმევს სახელს, რომ შეცდომაში შეიყვანოს მოცემული საზოგადოება“ (142) და ქვეთავებად სვამს კითხვებს, რომელთაც თავადვე საყურადღებოდ პასუხობს:

1. „სეპარატისტი თუ კოლაბორაციონისტი?“.

საკითხი ეხება ბოლო ხანებში რუსეთ-საქართველოს შორის წარმოებული ომების „ქართულ-აფხაზურ“ და „ქართულ-ოსურ“ ეროვნულკონფლიქტებად წარმოჩენას და წერს, რომ პრორუსი აფხაზები, ოსები, სომხები და ქართველები, არიან კოლაბორაციონისტები და არა სეპარატისტები (145).

2. „9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენის დღე თუ გლოვის დღე?“

დღემდე 9 აპრილი აღინიშნება გლოვის დღედ, რაც შეურაცხყოფას აყენებს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირთა სულებს. „9 აპრილი ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ“ (147) – წერს წიგნის ავტორი.

3. „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თუ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახით გამოცხადების დღე?“

საქართველოს დამოუკიდებლობა 200-წლიანი რუსული ოკუპაციის შემდეგ პირველად აღდგა 1918 წლის 26 მაისს და მეორედ – 1991 წლის 9 აპრილს, შესაბამისად, ეს ორი თარიღი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და არა 25 თებერვალი, როგორც იყო ეს ბოლო ხანებამდე და რასაც პოლიტიკურ ცინიზმს უწოდებს მეცნიერი.

4. „14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?“

წიგნის ავტორის აზრით, „საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, 14 აპრილი უნდა იზეიმოს, როგორც **თავისი სახელმწიფო ენის დღე**.“

5. „ტაო-კლარჯეთში ავტოქტონი ქართველობაა თუ ქართული დიასპორა?“ „საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები?“

საქართველოს ამჟამიმდელ საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა აღსანიშნავად ხელისუფლება იყენებს ტერმინს „დიასპორა“. მკვლევრის აზრით კი „საკუთარ მიწა-წყალზე მცხოვრები ავტოქტონი ქართველები, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო აღმოჩნდნენ სხვა სახელმწიფოს (თურქეთისა და აზერბაიჯანის) შემადგენლობაში, ისტორიულ-ეთნიკურ უმცირეობას წარმოადგენენ და არა დიასპორას“ (153).

6. „საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები?“

ბოლო ხანებში აქტიურად გამოიყენება ტერმინი „რეგიონი“, რაც მეცნიერს სახიფათოდ მიაჩნია და შეგვახსენებს, რომ „რეგიონული თვითმმართველობის დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ააქტუალურებენ **ფედერაციულ მოწყობას**“ (153).

IV თავში –„ქართული ენის ტექნოლოგიზება“ – გამოყოფილია ორი ქვეთავი:

1. „ავტომატური აკადემიური თარგმანის საკითხი“;

2. „ერთენოვანი ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი“.

პირველ ქვეთავში ავტორი წერს, რომ უახლეს ხანში საქართველომაც უნდა შეძლოს, სახელმწიფო ენაზე განახორციელოს აკადემიური ორენოვანი თარგმანი, რათა ქართულმა ენამ არ დაკარგოს კულტურული ენის ფუნქცია.

მეორე ქვეთავში წიგნის ავტორი უპირისპირდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ პროექტს: „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, სადაც ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ოთხი ქართველური ენით: ქართულით, სვანურით, ლაზურითა და მეგრულით (158).

ტ. ფუტკარაძის აზრით, თუ მომზადდება „ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი კორპუსი (რომელშიც შევა ზანურ-სვანური მასალაც), ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაშიც ქართული ენა შეინარჩუნებს როგორც ქართველთა მაკონსოლიდებელ, ასევე კულტურისა და განათლების ენის ფუნქციას. სამი ან ოთხი ქართველური „ენის“ ტექსტების კორპუსზე ორიენტირება კი XXI საუკუნეში განახორციელებს **რუსეთის იმპერიის გეგმას** – საბოლოოდ დაანაწევრებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთობასა და ისტორიულ დედაენას – ქართულ (ქართველურ) სამწიგნობრო ენას – გააუცხოებს ქართველთა მესამედს“ (159).

აქვე მკვლევარი გვთავაზობს თავის მოსაზრებას ქართული ენის ტექსტების ერთეენოვანი ეროვნული კორპუსის შექმნასთან დაკაშირებით, რომელშიც შევა ზანურ-სვანური მასალაც.

V თავი ეძღვნება **„ქართველთა ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივას“,** რომლის ქვეთავებია:

1. „ქართული ენის პრესტიჟი“;

2. „ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა და „სისხლით დაცული ანბანი“;

3. „გერმანული გამოცდილება“.

მეცნიერი „ქართული ენის პრესტიჟში“ ეხება ჩვენი ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების პროექტ(ებ)ის სახელწოდებებს: „ქართული ენა, როგორც მეორე ენა,“ „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ და მათ ნაცვლად გვთავაზობს ასეთ ვარიანტს: „ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება“, რაც მისი აზრით, ასწევს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, პრესტიჟს (160).

მეორე ქვეთავში ავტორის აზრით: „აუცილებელია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შევიდეს ნარჩევი მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტების ლექსიკაც“ და იმოწმებს კ. გამსახურდიას სიტყვებს: „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი“ აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (167).

მესამე ქვეთავში მკვლევარი, გერმანული გამოცდილების საფუძველზე, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „გარკვეულ რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს სკოლაში სწავლების პროცესში ქართველური დიალექტების გამოყენება“ (175).

შემაჯამებელი მსჯელობიდან მოვიყვანთ ერთ ამონარიდს:

„ჰუმანიტარული მეცნიერებები ყალიბდება ბოლო 200 წლის მანძილზე. მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველი ერის საცხოვრისი – საქართველო – ბოლო 200 წლის მანძილზე ოკუპირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას.

საქართველოს/კავკასიის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის მოხელეები ცდილობდნენ ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინათ ქართველები, ზოგადად, კავკასიელები; ამ მიზნით ქმნიდნენ ფსევდომეცნიერულ დებულებებს (იდეოლოგემებს) ქართველთა/კავკასიელთა ენობრივი ისტორიისა და ქართველური/კავკასიური სამეტყველო კოდების კვალიფიკაციის მიმართულებით. სამწუხაროდ, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ექსპერტებმა ნაკლებად იციან ქართველთა ენობრივ-ეთნიკური რეალური ისტორია და ზეპირ ქართველურ ენობრივ სახესხვაობათა სტატუსის განსაზღვრისას თუ ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვალიფიცირებისას ეყრდნობიან რუსული ენობრივი (ეთნიკური) პოლიტიკის წიაღში შექმნილ იდეოლოგემებს. ნიშანდობლივია, რომ არაერთი აკადემიური საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით, ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა“ (177).

წიგნის ავტორს აქვე მოაქვს ინფორმაცია მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიიდან, რომლის მიხედვით საქართველოში არის შემდეგი ეთნიკური ჯგუფები (ენები):



აზერბაიჯანელები – 270 000, ასირიელები (აისორები) – 3 400, აფხაზები – 129 000, ბაცბები – 3 200, ურუმები (ბერძნები) – 90 000, ლაზები – 1 000, მეგრელები – 345 000, ოსები – 35 000, რუსები – 405 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულსა და რუსულს) – 15 000, სომხები – 448 000, ურუმები – 97 746, ქართველები – 3 200 000, ქართველი ებრაელები – 2 800, ქურთები – 26 600 (177).

მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ენციკლოპედიას საფუძვლად უდევს საბჭოთა პერიოდში შექმნილი ე. წ. „ოთხი ქართველური ენის „იდეოლოგია“, რომლის მიხედვით, უმწერლობო ენების მფლობელად ცხადდებიან მეგრელები, ლაზები და სვანები.

ამ ენციკლოპედიის მიხედვით, მეგრელები, ლაზები და სვანები, ისეთივე მიმართებაში არიან ქართველებთან, როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა დანარჩენი ეთნიკური უმცირეობანი: აზერბაიჯანელები, ასირიელები (აისორები), აფხაზები, ბაცბები, ურუმები, რუსები, ქართველი ებრაელები და ქურთები.

არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამ ეთნიკურ რუკას, მაგრამ ჩემთვის ის ნამდვილად არ არის ქართველთა კეთილმოსურნის მიერ შედგენილი.

რუსულ იმპერიას ნამდვილად ვერ მივიჩნევთ უცოდველ კრავად საქართველოსთან მიმართებაში. არც მისგან მომდინარე ოთხი ქართველური ენის თეორია მოდის მათგან ქართველებზე ზრუნვით და სიფრთხილე გვმართებს, რათა, ნებსით თუ უნებლიედ, საუკუნის მერე ხელი არ შევუწყოთ „ჩხოუშიელ ავტონომისტთა“ რეანიმაციას.



ნაშრომს აქვს **14 დანართი,** რომლებიც 340-გვერდიანი წიგნის 113 გვერდს იჭერს. მათში 1925 წლიდან დღემდე, საგაზეთო და საარქივო მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, გადაშლილია ვრცელი პანორამა პრობლემისა, აი, სათაურები აქ წარმოდგენილი მეტად საინტერესო მასალებისა: „ალ. გეგეჭკორი, იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს“, „ლავრენტი ბერია მეგრელ ავტონომისტთა შესახებ“, „ფახულანის თემის კოლექტიური წერილი მეგრულის წინააღმდეგ“, „მოხსენება მეგრული პირველი ჯგუფების მუშაობის შედეგების შემსწავლელი კომისიისა“, „საქართველოს ავტონომისტების შესახებ“, „თედო სახოკიას მოხსენება, სამეგრელოს მკვიდრთა 1925 წლის რეზოლუცია“, „ტარას შენგელიას „დანოსი“ (ცილისმწამებლური წერილი)“, „არნ. ჩიქობავა – ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა“, „არნ. ჩიქობავა – არ დავივიწყოთ დედაენა, ლ. ბერიას წერილი ი. სტალინს“, „ივ, ჯავახიშვილი ნიკო მარის წინააღმდეგ“, „ტარიელ ფუტკარაძე – საერთო ქართველური ენისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართების ამსახველი სხვადასხვა სქემის შეპირისპირებითი ანალიზი“.

მოტანილი მასალიდან სამეგრელოს ავტონომიის მსურველთა საერთო პათოსს ნათლად გამოხატავს ერთი ამონარიდი ალ. გეგეჭკორის წერილიდან: „იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს“, რომელიც ამოღებულია 1925 წლის გაზეთ „კომუნისტიდან“: „დაკვრითი წესით გაანთავისუფლეთ სამეგრელოს მშრომელი ხალხი საქართველოს განგებ თავზე მოხვეულ სუვერენიტეტისგან და კვლავ სამუდამოდ განამტკიცეთ სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა ისტორიული კავშირი“ (186).

დასაწყისში ვწერდით, რომ 200 წლის წინ შემუშავდა რუსული იმპერიული გეგმა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლისა, რომელიც პერიოდულად აქტიურდება. გააქტიურდა იგი გასული საუკუნის 20-იან წლებში, იმდენად, რომ წამოვიდა მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიისა, შეიქმნა მეგრული ანბანი, მეგრულად დაიწყო საქმისწარმოება და სწავლა დაწყებით კლასებში, გაზეთის გამოცემა... და აი, აქტიურდება იგი დღესაც იმ დონეზე, რომ მეგრულად (ასევე სვანურად) ბიბლიური წიგნებიც კი ითარგმნება; ისევ გაჩნდა მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიისა, მეგრულისა და სვანურის რეგიონულ ენად გამოცხადებისა; ჩვენს თვალწინ დაიწყეს მეგრული სამწიგნობრო ენის შექმნა (რითაც მეგრელებს, სვანებს უუცხოებენ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურას – ქართულ კულტურას) და ა.შ.

2019 წლის 12 აპრილის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა **სერგი (გიორგი) საჯაიას** ღია წერილი, რომლის ადრესატები ბრძანდებიან საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მიმართვის ასლი გაედაგზავნათ: საქართველოს პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძეს,საქართველოს ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს თემურ ჩალაბაშვილს.

წერილი ეხება 2019 წლის 29 მარტს თბილისში, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ თაოსნობით, გამართულ ყოველთა ქართველთა წარმომადგენლობით კრებას, რომელმაც განიხილა ამ აკადემიის წევრის მწერალ სერგი (გიორგი) საჯაიას მოხსენება „რუსეთის იმპერიის ეთნოფაბრიკაციული დივერსიების ახალი ტალღის შესახებ სამეგრელოში“.

აღნიშნული განხილვა ფაქტობრივად გამოვიდა 1925 წელს – სამეგრელოდან გამოსულ მოღვაწეთა პირველი თავყრილობის გაგრძელება (1925 წელს თბილისში, რუსთაველის თეატრში თედო სახოკიას თავმჯდომარეობით ჩატარებულმა კრებამ დაგმო სხვა ქართველთაგან მეგრელთა ენობრივად გამიჯვნის მცდელობა).

კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე თვითმარქვიას, რომლებიც შეიკრიბნენ 2019 წლის 24 თებერვალს ქ.ზუგდიდში, უფლება არა აქვს, ისაუბროს სამეგრელოს სახელით; ისინი დაიქირავა რუსეთის იმპერიამ!

დიახ, საუკუნის მერე ისევ გააქტიურდა რუსული იმპერიული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანია არა მეგრულისა და სვანურის გადარჩენა, არამედ, თავის მეგრულ-სვანურიანად, ქართველი ერის გადაშენება.

და აი, ამ დროს ქვეყნდება მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, არგუმენტირებული მოსაზრებებით, ლოგიკური სახელმწიფოებრივი ხედვით დაწერილი წიგნი ტარიელ ფუტკარაძისა: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც, პრობლემებისადმი უკან მიდევნებული ლამპარი კი არ არის, არამედ გვაძლევს კარგად გააზრებულ სტრატეგიას, წინ აღვუდგეთ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრების მცდელობას.

წიგნი სცილდება ლინგვისტიკის სფეროს და მისით, ენათმეცნიერებთან ერთად, უნდა დაინტერესდნენ ისტორიკოსები და პოლიტიკოსები.

ნომადი გართაია,
პროფესორი

„შენი კაცობის მარაბდა“...

(ფიქრები ვახტანგ მელიქიძის წიგნზე „და მაინც, მხოლოდ სიყვარული“)

ჩემო ვახტანგ!

სიტყვები უძლურია გადმოსცეს ის დიდი გრძნობა, რაც შენს წიგნთან – „და მაინც, მხოლოდ სიყვარული“ – შევხედრით განვიცადე... წიგნს კი არა, ასე მგონია, შენ შეგხვდი პირადად, თითქმის ექვსი ათეული წლის წინათ განშორებულ თანაკურსელს... შეგხვდი და გავიხარე, რადგან ამ წიგნში მე შენ დაგინახე მთელი შენი ცხოვრებით, იმ გზა-სავალით, რომელიც კაცურკაცობის, ერის, ქვეყნის, ოჯახისა და მოყვასის სიყვარულის უკიდეგანო გრძნობითაა დახუნძლულ-გაჯერებული. შენ დაგინახე „ახალციხელო ვეფხვო“, როგორც ერთ-ერთმა შენმა თანაკურსელმა, აკაკი ბიძინაშვილმა გიწოდა შენდამი მოძღვნილ მშვენიერ ლექსში.

ჩვენი განათლების მექა იყო ქალაქ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის ფუძემყარ კედლებში ერთად ვუსმენდით ჩვენს სულიერ მოძღვრებს: ოთარ ჩხეიძეს, ნოდარ ალანიას, ნოდარ უთურგაიძეს, კოლია გუგუშვილს, სიმონ გაჩეჩილაძეს, მირიან ეფრემიძეს, სერგი მაკალათიას, გრიშა ჩხარტიშვილს, მიხეილ მამფორიას, სევერიან ყალიჩავას, ნიკოლოზ კანდელაკს, მიხეილ გოცაძეს...

შენ გამორჩეული იყავი სხვათაგან... უკვე დაბრძენებული ჭაბუკი შენი შეხედულებებით, შენი მრწამსით... მაშინ, ცხოვრების გარიჟრაჟზე, ოცნებათა ღრუბლებში დაბინადრებულთ, გვიკვირდა, რატომ იყავი გადაჭარბებულად სერიოზული, ფიქრიანი... რასაკვირველია, ჩვენ მაშინ არ ვიცნობდით სტუდენტობამდე შენ მიერ განვლილ გზას, არ ვიცნობდით შენგან ან უკვე უკვდავებაში დაბინადრებულ კეთილ ძია გრიშას (მოთხრობა „მძღოლი გრიშა“), არ ვიცნობდით იმ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი ხელწერა აღბეჭდეს შენს სულზე, რომელთაც კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრეს, სავსებით ბუნებრივად, თქვენი ხალასი ნიჭის პროზაულ სამყაროში:

ვ.მელიქიძე, მ.გიორგაძე და ა.მიქავა

„აი ხუთიანი“, „მზესთან შესმული სადღეგრძელო“, „მას შესამოწმებელი დარჩა დავალება“, „რა კარგი იყავ, თინა!“, „პირველი ჩირაღდანი“, „სკოლაში“ და სხვ.

„განა მხოლოდ მხატვრული სიტყვა?.. მართალკაცობა და გულწრფელობა იყო ჩემთვის ლექსი!“ – აი, ამ სიტყვების მეგზურობით შეგყავს მკითხველი შენს პოეტურ განძთსაცავში, რომლის სხივებიც აბრწყინებს ყოველივეს, რაც ესოდენ სანუკვარი, სანატრელი და საოცნებოა შენთვის... და არასოდეს ღალატობ შენს სეფე სიტყვას, შენს სინდისს, შენს ცხოვრებისეულ კრედოს:

„ბალანთა, მინაძე, ვალე!
ვალე, მინაძე, ბალანთა...
ჩემი არსობის სამყარო,
ჩემი კაცობის მარაბდა!
...
ამ სამ წერტილზე ვაშენებ
სახლს და სასახლეს
ცხრაკარას...
რაც კი რამ კარგი ვაკეთე,
ვხედავ, ეს სულაც არ კმარა...“

ლექსის ამ ამონარიდით კარგად ჩანს, თუ როგორ გიპყრობს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. მწამს, ასპარეზი სამომავლო სიკეთისა, კვლავ გეძახის, კვლაც გიხმობს, რადგან „ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია“.

ასე მგონია, ამ წიგნის შთაბეჭდილებებით მეც და ნებისმიერი მკითხველიც გვერდით დაგყვება და ფეხდაფეხ დაივლის ბალანთას, უკანჭალას, გვერდას, იმ ლოდსაც შეავლებს თვალს, შენს უამრავ მოგონებას რომ ინახავს, მერე კი გაიზიარებს იმ სევდას, ძველი სოფლის ნაშთი – მიტოვებული კერა და ჩამოქცეულ-ჩამონგრეული ბუხარი რომ აღგიძრავს.

ჩემო ვახტანგ,

შენეული ღვაწლ-ამაგით ცხოვრების მთავარი სათქმელი უკვე ნათქვამი გაქვს, ნათქვამი გაქვს საზოგადოებასთან ურთიერთობით, შენს აღზრდილებთან ურთიერთობით და, უპირველესად, ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო – ფუძემყარი ოჯახით, რომლის ბალავარსაც თავდადებით ადუღაბებდი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან, ქალბატონ ეთერ რობაქიძე-მელიქიძესთან ერთად. ბედნიერი ხარ, რომ შენს ხნულს კვალში უდგანან შენი მესხა და ელზა, ანა, სეხნია ვახტანგი, ნატალი, სანდრო, თომა... და მწამს, ისინი შენეულ კვალს არასდროს გაამრუდებენ!..

მინდა მადლობა გადავუხადო იმ კეთილ ადამიანებს, რომელთაც მწვანე შუქი აუნთეს შენს წიგნს და დაულოცვეს გზა მკითხველთა გულებისაკენ...

ეს წიგნი ხომ „შენი ცხოვრების მარაბდაა“, ჩემო ვახტანგ, ჩემო საამაყო მეგობარო!

მერი გიორგიძე,
ხარაგაულის აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი

აქტიურად გამოვიყენოთ ქართული ვაზის შესაძლებლობები

თემურ ხუხუნაიშვილი

ის ფაქტი, რომ საქართველო ვაზის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი სამშობლოა, თვალნათლივ ადასტურებს ქართველი ერის მეტად მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური და ლინგვისტური მასალები. მსოფლიოში ცნობილი 4 ათასამდე ვაზის ჯიშიდან, 600-მდე სწორედ საქართველოშია გავრცელებული და სწორედ ქართველი კაცის გონივრული ჩარევით, მრავალი საუკუნის მანძილზე დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ვაზის უხვმსხმოიარე, ყინვა და გვალვა გამძლე, შაქრიანობით გამორჩეული ჯიშები.

ვაზის კულტურის სორტიმენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართველ მეცნიერთა (დ.ტაბიძე, კ.ქანთარია, მ.რამიშვილი, ნ.ჩახნაშვილი) ნაყოფიერი მუშაობის შედეგად გამოიყვანეს ვაზის ახალი ჯიშები: ქართული საადრეო, ქართული თითა, სახალხო თეთრი, ქართული მუსკატი, თბილისური, მუსკატური, რქაწითელი, სოლომონი, მეგობრობა, ივერია, ვარძია, საიუბილეო და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ უნიკალური და მეტად პოპულარული ვაზის ჯიშები: – რქაწითელი და საფერავი შეტანილია მსოფლიო ქვეყნების სტანდარტულ სორტიმენტში.

ქართველი მეცნიერების ვ.ლოლაძის და ნ.ტოგონიძის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ვარდისფერი რქაწითელის, ჩინურის (ჩინებული), გორული მწვანის, პინოს და ალიგოტეს უხვმოსავლიანი კლონები, რომლებიც წარმატებით ინერგებოდა და ინერგება წარმოებაში.

აღნიშნული შესავლის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას იმის შესახებ, თუ მევენახეობა რატომ იყო, არის და, ვფიქრობთ, მომავალშიც იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი.

აღნიშნულ წერილზე მუშაობა იმანაც მიბიძგა, რომ მრავალ ისტორიულ მასალაზე მუშაობისას, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესწავლისას, არაერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ინფორმაციას და მასალას გავცნობივარ, სადაც, მრავალ ფაქტზე დაყრდნობით, აღწერილია საქართველოს ამ უძველეს და ულამაზეს მხარეში, განსაკუთრებით მესხეთში, თუ როგორ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ვაზის მრავალფეროვანი ჯიშების მოშენებას და ღვინის დაყენებას.

ზემოაღნიშნულის დასტურად საკმარისია თუნდაც ის ძველისძველი ქვევრები და მარნები, რომლებიც შემორჩენილია საქართველოს ამ გამორჩეულ კუთხეში.

ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერდა, რომ „მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო სხვადასხვა ქვეყნებში მიაქვთ გასაყიდად“. მევენახეობის და მეღვინეობის ფართოდ არსებობაზე მეტყველებს არქეოლოგიურად მიკვლეული ნივთიერი მასალა, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ დარგს მისდევდა მტკვრისპირა სოფლის მოსახლეობა. ამასვე ადასტურებს ვარძიის ნაქალაქარში კლდეში ნაკვეთი საწნახელები და კლდეში ჩადგმული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები.

1672 წელს შემოდგომაზე ქვაბლიანისა და მტკვრის ხეობით სამცხე და თორი გაიარა ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა და ნეგოელიანტმა ჟან შარდენმა. მან აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა მის ბუნებას, ბარაქიან ქართულ მიწას და სტუმართმოყვარე მოსახლეობას. მოგზაურის სტუმრობა რთველს დაემთხვა და ამის გამო გაკვირვებული წერს: *„სოფლებში რთველი იყო, შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამ გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდიან“.*

მტკვრის ხეობის სოფლების მევენახეობაზე წერს თავის გეოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილიც.

როგორც ისტორიკოსი თ.ჩიქოვანი წერს: *„გადმოცემის მიხედვით, ქვაბლიანის ხეობის ისეთ პატარა სოფლებში, როგორიც ჩორჩანი, მლაშე, ვარხანი, ფლატე და ჭეჭელაა, არც თუ შორეულ წარსულში, უკვე გამაჰმადიანებულ ქართველობას კარგი ზვრები ჰქონია. სავენახე ადგილები ყოფილა აგრეთვე კლდეში, წნისში, საყუნეთში (რომელსაც, მოსახლეობის ღრმა რწმენით, წარსულში საღვინეთი ერქვა), აწყური, ზველის ჭალებში, ნასოფლარ სლესასა და ქოლოსაში, ხიზაბავრაში, ასპინძაში, ვარძიაში და ა.შ.“*

მტკვრისა და ქვაბლიანის წყლისპირა სოფლებში მაღლარი და დაბლარი ვენახი ერთნაირად შეგუებული ყოფილა ადგილობრივ გეოკლიმატურ პირობებს. ყურძნის ჯიშებიდან გავრცელებული ყოფილა: ბუდეშური, თითა, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, საფერავი, ანდრიული, ანიჭული, ვეუენა, ცვრივი და სხვა.

სამწუხაროდ, მტრის (თურქების) ხშირმა თავდასხმებმა და შემდგომ დაპყრობამ, ქართული მოსახლეობის იძულებითი გამაჰმადიანება მოჰყვა. შარიათი, როგორც ცნობილია, ღვინის მოხმარებას კრძალავს. გამაჰმადიანებულმა მოსახლეობამ თანდათან მიივიწყა მევენახეობა-მეღვინეობა, რამაც ვაზის უძვირფასესი ჯიშების გაქრობა გამოიწვია. თუმცა ზოგან, მაგალითად, სოფელ ხიზაბავრაში, თურქების ბატონობის პერიოდშიც მისდევდნენ მევენახეობას.

მევენახეობის განვითარებას მხარეში გაცილებით მეტი ყურადღება მიექცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მზვარე ადგილებში გაშენდა სახელმწიფო სექტორის ვენახები. ამ მხრივ მოსახლეობამაც გამოიღო ხელი და ვენახებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობები დაიკავა სოფლებში: წნისში, კლდეში, წრიოხში, ასპინძაში, იდუმალაში, ოშორაში, ახალ მუსხში, არალში, უდეში და სხვაგან.

მესხეთი, სამცხე-ჯავახეთი, ისტორიულად ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარე, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში აღწერს, წარმოადგენს *„მთიან, გორიან, ღრანტიან, ხევკლდიანსა და მთა-ბარიანს, სადაც ბევრი სიკეთე ხარობდა და ხარობს. სხვადასხვა, მაგრამ სამეურნეო ცხოვრებისათვის, უმეტესად ხელსაყრელ გეოკლიმატურ სამივე რეგიონში სოფლის მეურნეობა ისტორიულადვე მაღალგანვითარებული იყო. საუკუნეების მანძილზე ინტენსიურსა და მასშტაბურ ხასიათს ატარებდა მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა“.*

საკმაოდ დიდი ეკონომიკური კუთრი წონა ჰქონდა მეხილეობას, მეთევზეობას, მებოსტნეობას. ის ფაქტი, რომ მხარე წარმოადგენდა უმეტესად „მთიან, გორიან, ღრანტიან და ხევკლდიანს, მიწასთან შეჭიდებული მოსახლეობა გამოსავალს ეძებდა და პოულობდა კიდეც. მდ. ფარავნისა და არტაანის მტკვრის ხეობების ჯავახეთის მონაკვეთში, აგრეთვე თორის მხარის დაფერდებულ სავარგულებში გავრცელებული იყო მიწათმოქმედების ტერასულად წარმოების ტრადიცია, რომელიც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და სხვადასხვა კულტურებს, მათ შორის ვაზს, უმთავრესად ხელოვნურად დაბაქნებულ, მოვაკებულ ნიადაგზე აშენებდა.

სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნული დარგებისთვის შესაფერისი პირობები ჯავახეთის ვითარებაში მხოლოდ არტაანის მტკვრისა და ფარავნის წყლის ხეობების ჭალებში იყო, სადაც ტერასების – დარიჯებისა და ოროკების მოწყობის ტრადიცია შორეული საუკუნეებიდან მომდინარეობდა.

სასიხარულოა, რომ ასპინძის რაიონში მესხური ტერასების აღდგენა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში წამოიწყეს ქართველმა ახალგაზრდებმა, კერძოდ , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის სტუდენტები მესამე შრომით სემესტრს სამცხეში ატარებდნენ, რომლებმაც გაწმინდეს და ადგილი მიუჩინეს სავანეთა და „დარიჯების“ (ასე ეძახდნენ მესხეთში ტერასებს, რადგან ფერდობებზე ქვით ნაგები კედლები ნიადაგსაც ამაგრებდა) ლოდებს.

თვალი გაახილეს მიწაში ღრმად ჩამარხულმა ვაზის ფესვებმა. აღსანიშნავია, რომ მაშინ უნივერსიტეტელთა ხელით ნაწილობრივ აღდგენილ ტერასებზე ვაზიც გაშენდა და ხეხილის ბაღიც.

ზემოაღნიშნულ შესანიშნავ მამულიშვილურ წამოწყებას გვიან, მაგრამ გამოხმაურება ჰქონდა 2015 წლის დასაწყისში, კერძოდ, ასპინძაში გამოჩნდა პატრიოტი მამულიშვილი, ბატონი **გიორგი ნათენაძე**, რომელმაც დაიწყო მესხური ტერასების აღდგენა, თუ არ ვცდები, აღსადგენი 23 ჰექტრიდან თითქმის აღდგენილია მთელი ფართობი.

ხაზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ გ.ნათენაძე პროფესიით ეკონომისტია და არა მევენახე, ან მეღვინე, რაც სრულიად არ უშლის ხელს იმაში, რომ შემუშავებული პროექტი წარმატებით განახორციელოს. იგი 10 ნელზე მეტია მესხური მევენახეობა-მეღვინეობით არის დაინტერესებული და მესხური ვაზის მრავალი ჯიში შეისწავლა, მოახდინა მათი იდენტიფიკაცია და გამრავლება.

ბატონი გიორგი ჯერჯერობით სოფ. ხიზაბავრაში ახორციელებს ვაზის ტერასულად გაშენებას, მას აქტიურად ეხმარებიან სოფლის მკვიდრნი, ფინანსურად მხარში დაუდგნენ ბიზნესმენებიც, რომელთა ვინაობა ინკოგნიტოდ რჩება და, იმედია, მათი ვინაობაც გასაჯაროვდება.

ვფიქრობთ, მსგავსი ინიციატივები მისაბაძი უნდა იყოს ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, აქტიური ინტელიგენციისათვის.

კარგი იქნება თუ მხარის უმაღლესი სასწავლებლები, საჯარო სკოლები, კოლეგები გამოეხმაურებიან ამ მამულიშვილურ საქმეს და თავის წვლილს შეიტანენ მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვფიქრობთ, ერიც და ბერიც უნდა დაირაზმოს ასეთი მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროექტების განსახორციელებლად. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა და ხალხის სამსახურში ჩაყენება არამარტო მიმზიდველს გახდის აქაურობას, არამედ ეკონომიკურადაც შესაძლებელი იქნება უფრო გავძლიერდეთ. თუ კი ქართველი მეღვინე-მევენახეს ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში გასაყიდად გაჰქონდა ღვინო საზღვარგარეთ, რატომ არ შეიძლება საკმარისი პროდუქციის მოყვანის შემდეგ მხარეში თანამედროვე ღვინის ქარხნებიც აშენდეს და მესხური უნიკალური ჯიშის ვაზისგანაც მივიღოთ კონკურენტუნარიანი ღვინო, რომელიც მსოფლიო ბაზარზეც იტყვის თავის სიტყვას.

ისტორიული მესხეთის საკითხისათვის

კუკური მეტრეველი

(დასაწყ. იხ. N4-5 2019 წ.)

ასეთ სიტუაციაში არცაა გასაკვირი, თუ ვივარაუდებთ, რომ ასევე ძალიან ძირძველ **ჯავახეთის სოფელ საროში** მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველებიც, ჯერ „მესხეთ-ჯავახეთით“ დაბნეულნი და უშუალო მეზობლების, გასომხების საშიშროების წინაშე მდგარი ხიზაბავრელი კათოლიკე თანამოძმეების გასაჭირის შემყურენი, „ჯავახი-სომეხის“ დაძახების საშიშროებისგან ისე გვარიანად „დაფრთხნენ“, რომ ჯავახეთში ჯავახობაზე უარი ერთ-ერთმა პირველებმა, ალბათ, მათ თქვეს. გასომხებას გადარჩენილი ხიზაბავრელებიც მერე, ალბათ, მათ აჰყვნენ და ჯავახობაზე „სამუდამოდ“ გულაცრუებულებმა ჯავახეთის იტორიული საზღვარი თოკ-ვარგავისკენ „გადასწიეს“. ამ ორი სოფლის ქართველობასთან ერთად, ბოლო საუკუნეებში, მათ თავს გადახდენილი მძიმე თავგადასავლების და ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ჯავახეთის – სამცხის მიმდებარე, ასპინძის მუნიციპალიტეტის ჯავახურ ნაწილში მდებარე ქართველებით დასახლებული კიდევ რამდენიმე სოფლის მოსახლეობასაც, არ სიამოვნებს ჯავახებში გარევა და – ჩვენ მესხები ვართო! – ერთთავად ამას გაიძახიან! სწორედ ამითაა გამოწვეული ისტორიულ სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრების თაობაზე ასე გაცხარებული ყურადღება და „დავა“. არა და, ეს ქართველობა რა ძალიან სჭირდება დღევანდელ ჯავახეთს, და ისედაც ასე დაცოტავებულ, „ჯიუტად ჯავახებს“!.. ბევრ მათგანს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, რაოდენ საზიანოა ჩვენი ერთობისთვის და ეროვნული ინტერესებისთვის მათი მცდარი კუთხურობა და ამპარტავნობა! ერთეულების მცდელობით დღეს მცირედით შეცვლილია სიტუაცია. სასიხარულოა, რომ მათ შორის გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ძალიანაც ეამაყებათ თავიანთი ჯავახობაც და მესხობაც, მაგრამ სასურველამდე ჯერ შორია.

ვიმეორებთ! ისედაც დაცლილი და დაპატარავებული მესხეთის ნაწილში „მესხეთ-ჯავახეთის“ მცდარი ტერმინის შემოტანამ (ან, იქნებ, ტურის ძეგლების, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ეთნიკური ფაქტორების კომპლექსური შესწავლის და შეჯერების საფუძველზე, როგორ დაადგინეს სამცხე-ჯავახეთის ქრონოლოგიურად გაწერილი და მაინც პირობითი ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები, როგორ მოხაზეს და გაატარეს მათი წყალგამყოფი **კოდიანის მთისა და ბუზმარეთის ქედის სამხრეთ კალთებზე?** ამისათვის კი არ უნდა ვექიშპებოდეთ და ვწეწდეთ ერთმანეთს, არამედ დღენიადაგ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, როგორ დავუდგეთ მხარში ერთმანეთს, როგორ დავიცვათ სახელმწიფოს ისედაც შევიწროებული სამხრეთის საზღვრები.

აქვე ვიყოთ გულწრფელნი და ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად ჩვენი ერის ოდითგანვე გამორჩეულად ტოლერანტული ბუნებისა, ქართველთა ნაწილის იძულებით თუ ნებაყოფილობით სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის თემებად დაყოფამ, მაინც გამოიწვია ქართველებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეული გაუცხოვება და განკერძოება, რამაც, ცხადია, გაართულა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის მათი გაერთიანება და კონსოლიდაცია. ამიტომ აღარაა საჭირო რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით ისედაც აჭრელებული მესხსეთის მოსახლეობის დამატებით კიდევ კუთხურობის ნიშნით დაქსაქსვა და დაპირისპირება.

ბული ქვეყანა კი არ იყო, არამედ „ისტორიული სომხური“ პროვინცია „ჯავახქია“, რომელიც ვითომ ქართველებს აქვთ დიდი ხანია მიტაცებული და როცა იქნება, ნებისმიერი გზით იქნება დაბრუნებული... თანაც, წარსატაცად მარტო ჯავახეთს კი არ იმზადებენ! „ჯავახქი“, მათთვის ჯავახეთთან შედარებით გაცილებით დიდი ტერიტორიაა და მასში თრიალეთის და სამცხის უდიდეს ნაწილებსაც მოიაზრებენ, – წალკიდან გორი-ხაშურის ჩათვლით!.. ამიტომ მიდის ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ასე ბეჯითად, ამ ტერმინის ჯერ შეპარულად და ახლა უკვე ასე ღიად, თავხედურად, ყველგან შემოპარება, დამკვიდრება, ჯავახეთის შესახებ ყალბი ისტორიის მოფიქრება, ათასჯერ ტირაჟირება და მთელს დუნიაზე გავრცელება, იტორიული ძეგლებისა და ტოპონიმების ხელყოფა, ბევრი მათგანის სრულიად უსაფუძვლოდ სომხურად გამოცხადება. ამ დროს რა ხდება ჩვენი მხრიდან? საარაკოდ სდუმს და თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევს ქართული სახელმწიფო და საზოგადოებრიობა!.

როგორც სწორად შენიშნავდა, თავის დროზე, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ივანე ჯავახიშვილი, სომხების მასიურ გადმოსახლებას სამცხე-ჯავახეთში და თრიალეთში, ქართული საზოგადოება უყურებდა, როგორც დროებით მოვლენას და ყველანაირად თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მეზობელი ქრისტიანული ერის წარმომადგენლებს იმის იმედით, რომ სიტუაციის დალაგების შემდეგ ისინი დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ – მშობლიურ მიწა-წყალს და მათ ადგილზე უკან მობრუნდებოდნენ მესხეთიდან, მეტადრე, ჯავახეთიდან, იძულებით დეპორტირებული მუსულმანი ქართველები. თავიდან სომხების ნაწილმა მართლაც მოინდომა უკან დაბრუნება, ზოგიერთმა მოახერხა კიდეც თურქეთში გადასვლა, მუსულმანმა ქართველებმაც დაიწყეს უკან მობრუნება, მაგრამ ამას წინ აღუდგა თურქეთის და რუსეთის იმპერიული მთავრობები. ქართველი მუსლიმანები ქვეყნის შიგნით გადაისროლეს, და აკრძალეს ორივე მხრიდან მიგრანტების საზღვარზე გატარება. ასე და ამგვარად ქართველებისგან ხელოვნურად დაცლილ სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა სამუდამოდ დარჩა (მათი შემოდინება1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და 1914-1918 წლების მოვლენებთან დაკავშირებითაც გაგრძელდა). დღეს ისინი ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისწავლეს ადგილობრივ ქართველებთან კეთილმეზობლურად თანაცხოვრება, არცერთხელ არ წამოეგნენ სერიოზულ პროვოკაციას და არ აჰყვენენ გარედან თუ შიგნიდან პროვოცირებულ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს. უფრო მეტიც, ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთების მიზნით რამდენჯერმე შექმნილ კომისიებში და რეფერენდუმების დროსაც ყოველთვის პროქართული პოზიცია დაიჭირეს. მაგრამ, მაშინაც და ახლაც, მათ შორისაც მოიძებნება მცირე ჯგუფი სეპარატისტულად განწყობილი პროვოკატორებისა, რომელნიც არ აძლევენ მოსვენებას და ცდილობენ მშვიდობიან და პატიოსან მოსახლეობას აურიონ ჭკუა-გონება. გარედან მომარაგებული ყალბი ისტორიული რუკებით და მასალებით სურთ დაარწმუნონ თანამოძმენი, რომ ჯავახეთი მათი უძველესი ისტორიული სამშობლოა, რომელიც ადრე თუ გვიან, „დიდი სომხეთის“ ნაწილი გახდება და ეცდებიან, ამის დასამტკიცებლად, ყველანაირად წაშალონ ქართული კვალი, უკანონოდ ხელყოფენ ქართულ ძეგლებს და ტოპონიმებს, უყენებენ აბსურდულ მოთხოვნებს და პრეტენზიებს ხელისუფლებას, ვითომდაც მათი, როგორც ეროვნული უმცირესობის უფლებები ირღვევა. მათ ყურადღების მიქცევა და საკადრისი პასუხის გაცემა დღენიადაგ სჭირდებათ. ამაში გვჭირდება ჩვენი თანამოძმეების თანადგომა და არა განზე გადგომა. ჩვენი ქვეყნის ვერცერთი მთავრობა, ვერც მანამდე და ვერც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ვერ მოერია თავის ვიწრო, ეგოისტურ, მოკლევადიან აზროვნებას და ვერანაირი სასიკეთო კვალი ვერ დაატყო ამ პრობლემის მოგვარებას. ყველა მოქმედებს პრინციპით, – ვინმემ რამის გამო ეროვნულ საკითხში გადაცდენა არ დააბრალოს, როგორმე მოჩვენებითი სიმშვიდე შეინარჩუნოს. ეს არაა სახელმწიფოებრივი აზროვნება! ასე პრობლემები კიდევ უფრო გროვდება. ერთ მუჭა სეპარატისტულად განწყობილ ჩვენს სომეხ თანამოქალაქეებს და მათ აქტიურ დამქაშებს ქვეყნის გარედან არ უნდა მივცეთ საშუალება ჯავახეთში მცხოვრები პატიოსანი სომეხი ეროვნების აბსოლიტურ უმრავლესობას აურიონ ჭკუა-გონება და გაურთულონ ქართველებთან, ქართულ სახელმწიფოში თანაცხოვრება.

მაშინ, როცა ბოლო წლებში ჩვენი გმირი წინაპრების მიერ სისხლის ფასად შენარჩუნებული და ჩვენამდე მოტანილი ამდენი ისტორიული ჩვენი კუთვნილი ტერიტორია დავკარგეთ. მაშინ, როცა ჩვენი ორი ულამაზესი რეგიონი – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დღემდე მტერს აქვს ოკუპირებული, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ და იგივე შეცდომებს ვუშვებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს არც მურჯახეთის და ნიალის, არც პალიასტომის ძმათამკვლელი ომები, ოთხმოცდათიანი წლების სამოქალაქო დაპირისპირება და არც 2008 წლის ოკუპაცია. ქართველებმა უნდა დავივიწყოთ უაზრო ამპარტავნობა და ქიშპობა, ურთიერთ სიყვარული და სახელმწიფოებრივად აზროვნება უნდა ვისწავლოთ.

XIX საუკუნის მიწურულიდან, თითქმის XX საუკუნის ბოლომდე, ბევრჯერ გვქონდა ამის მცირედი საშუალება მაინც, მაგრამ ჩვენ არ ვიყოჩაღეთ და ვერ მოვახერხეთ ჩვენი ძალად გამუსულმანებული და გასომხებული თანამემამულეების დაცვა და ქართულ სამყაროში უკან მობრუნება. ახლა, უკვე, XXI საუკუნეში, რაღას ვეუბნებით ჯავახეთის მართლაც და გმირ მკვიდრ ქართველობას, რომელთაც სპეციალურად შემოგდებამ) და დამკვიდრებამ ქართველ ხალხში ისეთი გაურკვევლობა და ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რომ ჩვენი გაუთვითცნობიერობლობით და დაუფიქრებლობით მისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოქმედება დღესაც გრძელდება. მაშინ როცა ჩვენდამი არაკეთილგანწყობილი ელემენტები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით აგებენ თავიანთვის სასურველ თეორიებს და ამით სურთ ჯავახეთის ისტორიულად ტერიტორიული კუთვნილების დასაბუთება, ხელზე აქვთ დახვეული ჯავახეთში ქართველების აბსოლუტური სიმცირე. ითვლიან მხოლოდ ახალქალაქი-ნინოწმინდის ქართველობას და გაჰკივიან, რომ ჯავახეთში ქართველების რიცხოვნება 5 პროცენტსაც არ აღემატება. თუ ობიექტურად დავითვლით, ისტორიული ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე, საარაკო გმირობის ხარჯზე, დღემდე შემორჩენილი ადგილობრივი მკვიდრი ქართველების რიცხოვნებას და მათ კანონიერად მივათვლით ჯავახეთიდან, სარო-ხიზაბავრის მსგავსად, გულუბრყვილოდ, ხელოვნურად „განდგომილი“ ქვემო (ბარის) ჯავახეთის და ნიალის ზონის სოფლების მოსახლეობასაც, გამოვა, რომ ისტორიული ჯავახეთის მიწა-წყალზე დღეისათვის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის წილი სულ ცოტა 12-15 პროცენტს მაინც შეადგენს, რაც, ცხადია, არაა ის, რაც უნდა ყოფილიყო და რაც გაგვეხარდებოდა, მაგრამ ჩვენ არაკეთილმოსურნეებს რომ ჰგონიათ, მთლად არც ისეა. ამას ვჩივით, ჩვენო ძვირფასო თანამემამულებო, – ჯავახეთში ქართული ელემენტი ისედაც დასუსტებულია და ჩვენივე ამპარტავნობით და გაუთვითცნობიერებლობით, არანაირად არ შეიძლება მისი კიდევ უფრო ჩვენივე ხელით დასუსტება და არაკეთილმოსურნეების გახარება. სამწუხაროდ, დღესაც, ბევრ ჯავახს ჯავახობა ეთაკილება, ბევრს კიდევ, მხოლოდ, მესხი რომ იყოს, ის უნდა....

ჩვენ, სხვადასხვა კუთხის მესხებს, ის კი არ უნდა გვაღიზიანებდეს, სახელოვანმა ქართველმა ისტორიკოსებმა (ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ნ. ბერძენიშვილომა, დ. მუსხელიშვილმა, დ. ბერძენიშვილმა, შ.ლომსაძემ და სხვ. მათ ნაწილობრივ არ ეთანხმება პროფ. მ. ბერიძე), წერილობითი და მატერიალური კულ-

ვიდრე ჩვენ ასეთ უაზრო ურთიერთცილობაში ვართ **ჯავახეთის ხსენება თითქმის აღარაა საკუთრივ ჯავახეთში!** ჩვენი თანამემამულე ჯავახეთში მცხოვრები სომხები, თუ კი აქამდე ერიდებოდნენ და ქართველებთან მაინც ვერ „ბედავდნენ“ ჯავახეთის „ჯავახქად“ მოხსენიებას, ახლა, ვითომდაც ჩვენი სახელმწიფოს სამსახურში მყოფი მოხელეები და ოფიციალურად დარეგისტრირებული რადიო-ტელევიზიებიც კი, უკვე ვეღარ თუ აღარ „ბედავენ“ საჯაროდ ჯავახეთის „ჯავახეთად“ მოხსენიებას. ყველა მიმართვაში „ჯავახქია“ გამოყენებული. **მათთვის ჯავახეთი „ჯავახქია“ და იქ მაცხოვრებელი ხალხი კი „ჯავახქები“!** არ ვიცი, უვიცობის, ან ამ გამიზნული პროვოკაციის შედეგის გაუაზრებლობის თუ სიმხდალის გამო პირდაპირ გამაოგნებელია, რომ ამაზე საერთოდ არანაირი რეაქცია არა აქვს ჩვენს „გადაღლილ“ საზოგადოებას! რა უნდა გაგიკვირდეს, როდესაც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე მომუშავე ჩვენი საკონსტიტუციო კომისიის სახელოვანმა და დამსახურებულმა თავმჯდომარემ (აკადემიკოსმა!), ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიიღეთ კონსტიტუციის შესწორება ამა და ამ ფორმითო, – უპასუხა, – „მაგ ფორმით ცვლილების წინააღმდეგ გამოვიდა ჯავახქის (!) მოსახლეობა და ვერ შევძელითო!..“ როცა ამას ასე დაუფიქრებლად და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ამბობს „დამსახურებული“ აკადემიკოსი, კონსტიტუციონალისტი, რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახალქალაქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი პროვოკაციული სახელით „ჯავახქი“, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე იყოს საქართველოს ფოლკლორული ფესტივალების არაერთგზის ლაურეატი?!

ახლა, როცა ასეთი შემოტევა და ბრძოლაა ტერმინ „ჯავახეთზე“, მათ ვინც ცდილობენ მის მაგივრად თავიანთ ცნობიერებაში და სხვების თვალშიც დაამკვიდრონ ახალი ტერმინი – „ჯავახქი“, ძალიან კარგად იციან, გამიზნულად რასაც აკეთებენ. თქვენ გგონიათ ქართულ სიტყვაზე ენა ეჩლიფებათ და იმიტომ „თარგმნიან„? არა, ბატონებო, მათ სურთ დაამტკიცონ დაუჯერებელი, რომ ჯავახეთი უხსოვარი დროიდან წმინდა ქართული მიწა-წყალი და სულ ქართველებით დასახლე-

ერის წარმომადგენლებს იმის იმედით, რომ სიტუაციის დალაგების შემდეგ ისინი დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ – მშობლიურ მიწა-წყალს და მათ ადგილზე უკან მობრუნდებოდნენ მესხეთიდან, მეტადრე, ჯავახეთიდან, იძულებით დეპორტირებული მუსულმანი ქართველები. თავიდან სომხების ნაწილმა მართლაც მოინდომა უკან დაბრუნება, ზოგიერთმა მოახერხა კიდეც თურქეთში გადასვლა, მუსულმანმა ქართველებმაც დაიწყეს უკან მობრუნება, მაგრამ ამას წინ აღუდგა თურქეთის და რუსეთის იმპერიული მთავრობები. ქართველი მუსლიმანები ქვეყნის შიგნით გადაისროლეს, და აკრძალეს ორივე მხრიდან მიგრანტების საზღვარზე გატარება. ასე და ამგვარად ქართველებისგან ხელოვნურად დაცლილ სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა სამუდამოდ დარჩა (მათი შემოდინება1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და 1914-1918 წლების მოვლენებთან დაკავშირებითაც გაგრძელდა). დღეს ისინი ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისწავლეს ადგილობრივ ქართველებთან კეთილმეზობლურად თანაცხოვრება, არცერთხელ არ წამოეგნენ სერიოზულ პროვოკაციას და არ აჰყვენენ გარედან თუ შიგნიდან პროვოცირებულ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს. უფრო მეტიც, ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთების მიზნით რამდენჯერმე შექმნილ კომისიებში და რეფერენდუმების დროსაც ყოველთვის პროქართული პოზიცია დაიჭირეს. მაგრამ, მაშინაც და ახლაც, მათ შორისაც მოიძებნება მცირე ჯგუფი სეპარატისტულად განწყობილი პროვოკატორებისა, რომელნიც არ აძლევენ მოსვენებას და ცდილობენ მშვიდობიან და პატიოსან მოსახლეობას აურიონ ჭკუა-გონება. გარედან მომარაგებული ყალბი ისტორიული რუკებით და მასალებით სურთ დაარწმუნონ თანამოძმენი, რომ ჯავახეთი მათი უძველესი ისტორიული სამშობლოა, რომელიც ადრე თუ გვიან, „დიდი სომხეთის“ ნაწილი გახდება და ეცდებიან, ამის დასამტკიცებლად, ყველანაირად წაშალონ ქართული კვალი, უკანონოდ ხელყოფენ ქართულ ძეგლებს და ტოპონიმებს, უყენებენ აბსურდულ მოთხოვნებს და პრეტენზიებს ხელისუფლებას, ვითომდაც მათი, თავგანწირვის ფასად თავიანთ სამცხელ თანამემამულეთა ნაწილთან ერთად გაუძლეს მათი სრულიად ამოწყვეტის, გამუსულმანების, გარუსების, გადაჯიშების ან გასახლების მრავალსაუკუნოვან მცდელობებს, რომელნიც, მართალია ამ უთანასწორო და გაუთავებელ ბრძოლებში, თითქმის გაწყდნენ, დაცოტავდნენ, მაგრამ **თავიანთი მშობლიური მიწა-წყალი მაინც არ მიატოვეს, საკუთარი ეროვნული იდენტობა, ენა და სარწმუნოება ბოლომდე შეინარჩუნეს, გადარჩნენ და დღესაც სანთლებად უნთიან და ბურჯებად უდგანან დედა-სამშობლოს და ქართულ მიწა-წყალს?!** ერთი მუჭა ჯავახობა, რომელთაც ყოველივე ამის გამო სწორედაც რომ ძალიან დიდი გული აქვთ, სახელმწიფოსაგან, ქართველებისგან სხვანაირ მოპყრობას, დაფასებას იმსახურებენ და თუ „თავფარავნელ ჯაბუკს“ ისევ „დიდი ზღვა“ უდევს წინ გასავლელი და „ბოროტი ბებერი“ ისევ ლამობს მის დახრჩობას, ან შენს თანამოძმეს თუ ისევ „ყივჩაყი შემოსჩვევია“, მას შენგან გვერდში დგომა და დახმარება სჭირდება მხოლოდ და არა განზე გადგომა და გულსატკენი რაღაცების წამოძახება. ჯავახეთის და ჯავახების მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ან მათთან უაზრო ქიშპობა, ქართველთათვის მარტო მორალის პრობლემა არაა, ეს ძალიან არასახელმწიფოებრივი აზროვნების დასტურია და ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის ძალიან დიდი ზიანის მომტანია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდიანარე, მესხეთის და დანარჩენი საქართველოს ქართველობამ **სამუდამოდ უნდა უარვყოთ და დავივიწყოთ მცდარი და საზიანო ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“!** უნდა ვიცოდეთ და გვჯეროდეს, რომ **სამცხეც და ჯავახეთიც ერთ დროს „დიდებული მესხეთის“ უმნიშვნელოვანესი კუთხეებია და არც ერთია „აციკა„და არც მეორეა „ ჯავახქი“! ჯავახელი და სამცხელი ორივე ტომით მესხია.** მესხეთი ხომ თითოეული ქართველის სიამაყეცაა! უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო – საქართველო, რომელიც დღეს ასეთ განსაცდელშია, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ურთიერთ დაფასებით და სიყვარულით, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, გამთლიანდება და გადარჩება!

ერთი გარემოება მაწუხებს, ათეული და ასეული წლების კვლევა-ძიება ჩვენს საქართველოს მეცნიერებს როგორ გამორჩათ თვალთახედვიდან ისეთი ისტორიული მხარე, რომელიც ერთგვარი გასაღებია ამა თუ იმ მხარის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური შესწავლისთვის.

ჩემი კვლევის სისწორეში მინდა დაგარწმუნოთ, რომ ახალციხიდან მდ. მტკვრის ხეობის მიმართულებით, ვარძიამდე, მთელი რიგი სოფლების გეოგრაფიული განლაგება დაკავშირებულია მოსალოდნელი თავდასხმების აოხრებისაგან გადარჩენის თვალსაზრისით.

ასეთ სოფლებად მიმაჩნია სოფლები: ღრელი, ანდრიაწმინდა, მუსხი, ჭობარეთი, ძველი, ერკოტა, დადეში, ქუნცა, ტოლოში, ხერთვისი, ქვედა თმოგვი, ზედა თმოგვი და ვარძია.

ამ სოფლების მთელი რიგი განლაგება მდინარე მტკვრის ზემო პლატოზე მდებარეობს.

სოფლები ერთი-მეორისგან 10-15 კილომეტრით არიან დაშორებული.

სტრატეგიული თავდაცვისთვის ყველა სოფელში ერთნაირად მიწური სახელებია გაშენებული. თითოეული სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა ასიდან ორას ოჯახს არ აღემატება. ამ ზონაში არის მრავალი ნასოფლარი. ხსენებულ სოფლებში შესასვლელი გზა მხოლოდ ჩრდილოეთ-დასავლეთიდან აქვს. დანარჩენი მხარეები დასაკარგს. ოჯახის წევრებიდან, რომელიც დაკისრებული სამუშაოს არ შეასრულებდა, უხუცესი დასჯიდა განკპლვით და განკეპლილი პიროვნება თუ კიდევ არ შეასრულებდა უფროსის დავალებას, მას ერთი ან ორი დღით უჭმელად ჩაკეტავდნენ განსაკუთრებულ ბინაში.

ოჯახის შემოსავალ-გასავალი, ბეგარის გადახდა, ვაჭრობა, უფროს შვილს ევალებოდა.

უხუცესის ყველაზე მნიშვნელოვან მოვალეობას შეადგენდა ოჯახის ახალგაზრდა წევრების დანიშვნა ან გათხოვება. ამ მოვლენის შესრულება უხუცესის გადაწყვეტით უნდა მომხდარიყო. ეს მოვლენა კი ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახში უსიამოვნებას ჰქმნიდა.

იმდროინდელი ზნე-ჩვეულების დასადასტურებლად მოგიყვებით ნამდვილ ამბავს:

ახალგაზრდების შეუღლება მშობლების ნება-სურვილით უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შეუღლება არ მოხდებოდა ან გადაიზრდებოდა მტრობა-შუღლში.

მე 1930 წლიდან დამნიშნეს სოფელ ღრელის მასწავლებლად. სოფლის მცხოვრებნი თავიანთ ავსა და კარგს მე მეკითხებოდნენ.

სოფელ ერკოტის მცხოვრებს, ჩვენი შორეული ნათესავის ვაჟს, მოსწონებოდა ჩვენი განაყოფის, მიხეილ პაპას ქალიშვილი. ქალიშვილსა და მის დედას ვაჟი მოსწონდათ.

თა დიდი ჯგუფი თავს დასხმია ჩვენს მეზობელ სოფლებს და ისინი, ალბათ, ჩვენსკენ გადმოვიდოდნენ.

სოფლის თავკაცებმა ბადალამ, ქუნცულამ და აფრამამ წინასწარ სოფლის მთელი მცხოვრებნი შეკრიბეს და გააფრთხილეს, რომ აუცილებლად მოგველის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. თავკაცების გაფრთხილებით ახალგაზრდებსა და შუახნის მამაკაცებს კეტებით უნდა ებრძოლათ. ხანშიშესულებს და ხნიერებს მშვილდისრები უნდა მოემარჯვებინათ, ხოლო ქალებსა და ბავშვებს ბუხრებთან დაგროვებული ქვა უნდა ესროლათ მტრისთვის.

შუადღე გადაცილებული იყო, როცა ლეკთა მოთარეშე ცხენოსნები და ფეხოსნები გამოჩნდნენ ახალციხის მიმართულებით, სოფელთან რამოდენიმე კილომეტრის დაშორებით. ისინი გაჩერდნენ ტყემლებთან. თითქოს დაბანაკებას აპირებდნენ. ცხენები გაუშვეს ყანებში საძოვრად. მათგან გამოეყო ასამდე ცხენოსანი და, ალბათ, ამდენივე ფეხოსანი, რომლებიც სოფლისაკენ გამოემართნენ. ჩვენი უფროსები: ბადალ აღა, ქუნცულ აღა და აფრამ აღა პირდაპირ ცეცხლს აფრქვევდნენ: – ჩვენ თუ ჩვენი წინაპრების ნაშიერნი ვართ, ერთ ათას და ასს უნდა ვებრძოლოთ. წარსულში ჩვენი წინაპრები ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ მტერთან ბრძოლაში და

თქვენი ასი ჩვენთან რას გააწყობს. ჩვენ ხმალ-ხანჯლით და შუბებით შეიარაღებულნი ვართ, თქვენ კი მეცხვრის ჯოხებით.

ბადალა – აღავ, თქვენ მართალს ბრძანებთ, სწორედ რომ გაიგოთ, ერთ პატარა არაკს გეტყვით: შეძლებული გლეხის ერთი ძროხა 10 ლიტრა რძეს იწველიდა. მეორე გლეხმა იფიქრა, რომ თვითონაც იყიდდა ძროხას და ათი ლიტრით დღეში ოჯახს კარგად გამოკვებავდა, მაგრამ მისმა ნაყიდმა ძროხამ დღეში ერთ ლიტრა რძეზე მეტი არ მოიწველა. გაავებული გლეხი მივიდა შეძლებულ გლეხთან და უსაყვედურა, – ჩემი ძროხა ერთ ლიტრა რძეზე მეტს არ იწველისო. შეძლებულ გლეხს გაეცინა და უთხრა: უჯიშო ძროხა გიყიდიაო. იმ გლეხისა არ იყოს, ჩვენ, ქართველები, ჩვენი წინაპრების ნაშიერნი ვართ. ისინი მტრებს ერთი ათსა და ასს ებრძოდა. ჩვენ მათზე მეტს რატომ არ უნდა ვებრძოლოთ? თუ გინდათ, რომ დაიჯეროთ, თქვენი რიგებიდან გამოიყვანეთ ოცდაათი მებრძოლი და ამ სამ ახალგზრდას შეებრძოლოს.

მეთაური: – ამ ბავშვებს? როგორც ჩანს თქვენ პირველი გამარჯვებით დაგვცინეთ.

ბადალა: – არა, აღავ, დაცინვა რა შუაშია, აგერ ბურთი და მოედანი. თქვენი რიგებიდან გამოიძახეთ ოცდაათი კაცი და ათ-ათი მებრძოლი საბრძოლველად მივიდნენ თითო კაცზე.

სოფლების აღწერა

შეზღუდულია გაუვალი ხეებით და კლდეებით. სოფლებზე უცხო ტომთა თავდასხმისას სამი მხრიდან ცხენოსანი კი არა, ფეხოსანიც ვერ შევა. ამიტომაც სოფელს შეუძლია მტრის შემოსევისას იმ ერთი შემოსასვლელიდან თავისი ძალები დაუპირისპიროს.

სოფლების სტრატეგიული დასახლება და არქიტექტურული მშენებლობა წინასწარ გათვალისწინებულია მტრის მოულოდნელ თავდასხმისას მათზე გამარჯვება.

მე, როგორც სოფელ ღრელში დაბადებულს და აღზრდილს, ჩემი წინაპრებიდან ბევრი საყურადღებო ისტორიული ამბები მომისმენია.

მინდა იმდროინდელი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის კონსტრუქცია დაგიხასიათოთ. აღნიშნული ბინების ფორმამ მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე მოაღწია.

სოფელ ღრელის დასახლება წარმოადგენს ერთი კილომეტრი სიგრძის ფართობს. ღრელის ტაფობი, აღმოსავლეთის მიმართულებით, თანდათან ვიწროვდება და თავდება ღრანტი ხევებით და კლდეებით. ერთი სიტყვით ყოველი მხრიდან შეზღუდულია. მხოლოდ სამხრეთიდან, ახალციხის მიმართულებით მიმავალი გზიდან აქვს შემოსავალი. ასე მგონია, რამოდენიმე ასეული წლის წინათ ეს მხარე უნდა ყოფილიყო დაფარული გაუვალი ტყით. ამას ამტკიცებს ადგილმდებარეობის სახელები. მაგ.: ფიჭვნარის წყარო, შილიმ კატრები. ჩემი შეხედულობით, ღრელის მთლიან ტერიტორიაზე შემორჩენილია პანტისა და ტყემლის ხეები.

ახლა მოგითხრობთ სოფელ ღრელის საცხოვრებელი ბინების შინაგან აგებულებას.

მცხოვრებთა ბინები ერთიმეორესთან მიჯრილია თავდაცვის მიზნით. მაგალითად, ქუნცულეინთ ბინა: ჩრდილოეთის მხრიდან, სახლის შესავალი ხრამის თავიდან იწყება. შესავალში წამოხურული კარაპანია, რომელსაც მოსდევს საბატე, შემდეგ საქათმე, სახბორე, საცხვარე, სასმელ-საჭმელ სანოვაგის შესანახი ოთახი, სულ ბოლოში მოთავსებულია საძილე-საცხოვრებელი დარბაზი. სამი-ოთხი ოთახის გავლით საცხოვრებელ ბინამდე გასასვლელად საჭირო იყო სულ ცოტა 100 მეტრი მანძილის გავლა. მტრის ჯგუფი თუ დაეცემოდა, კარაპანში ჰყავდათ ავი ძაღლები. მტერი თუ შესძლებდა ძაღლების გაჩერებას, პირველი ოთახი – საბატე უნდა გაევლოთ. ბატები ისეთ ხმაურს და ყიყინს ასტეხდნენ, რომ დარბაზში მცხოვრებნი მტრის დაცემას შეიტყობდნენ. მომხვდურ მტერს მაგარი ძალით რომ შეხვედროდნენ, 5-6 მეზობლის საცხოვრებელი დარბაზი მიჯრით იყო მათ დარბაზზე, რომელსაც საიდუმლო შესავალ-გასავალი ჰქონდათ. საჩქაროდ მეზობლებს შეეხმიანებოდნენ და საერთო ძალით მომხვდურ მტერს ამარცხებდნენ.

ძლიერი ოჯახების სადგომი დარბაზი მერცხლის ბუდარის ფორმით იყო აშენებული. დარბაზის ფართობი 40-50 კვ. მეტრს შეადგენდა. მთელი შენობა დაყრდნობილი იყო ოთხ დედაბოძზე. დარბაზის ფორმა იყო ოთხკუთხედი ან ნახევრად მრგვალი. საერთოდ, ბინებს გვერდული ფანჯრები არ ჰქონდათ, მხოლოდ ზემოდან 20-40 სმ სიფართის ფანჯარა იყო დატანებული სინათლისათვის.

დარბაზის კედლების მისადგომებთან ფიცრით იყო გაწყობილი დასაჯდომი და დასაწოლი ტახტები. სადილის გასაწყობად ხმარობდნენ ოთხკუთხა ან მრგვალ დაბალ ფეხშუმებს (მაგიდა), რომელსაც დგამდნენ ტახტზე ან მიწის იატაკზე, სადაც გაშლილი იყო ფიჩვები, ხოლო მცირე ოჯახები გაშლიდნენ ჭილობებს და ფეხმორთხმით შემოუსხდებოდნენ.

სადგომი ბინის კედლის ერთ-მოხერხებულ მხარეზე აყოლებული იყო ბუხარი კარგად გაწყობილი ოთახით. ოთახში შეშის ცეცხლის დანთებით დარბაზი თბებოდა და, ამავე დროს, ამზადებდნენ სადილებს.

ოჯახის უხუცესი ითვლებოდა უფროსად. საღამოს, ვახშმის შემდეგ, უხუცესი უფროს შვილს (ვაჟს) მოსთხოვდა მთელი დღის მონაგებს და

ერთ დღეს, საღამო ჟამს, ვაჟი, თავისი ბიძით, მესტუმრა და მთხოვს, რომ მე, როგორც ავტორიტეტული პიროვნება, მაშვლად მივსულიყავი მიხეილ პაპასთან და გამეცნო ვაჟის პიროვნება, რომ მას უნდა მიხეილ პაპას ქალიშვილი ცოლად შეირთოს.

ჩემი შუამავლობა მიხეილ პაპასთან ერთ კვირას გაგრძელდა, ყოველი საუბრის შემდეგ მიხეილ-პაპა თავს მძიმედ ასწევდა და მკვახედ მომახლიდა: – არ ვაძ-ლევ!

ბოლოს მე იძულებული გავხდი უფრო მკაცრად მესაუბრა.

მე ვეკითხები: – მიხეილ პაპა, შენი უარის თქმას რაღაც მიზეზი უნდა ჰქონდეს.

მიხეილ პაპამ თავი მაღლა ასწია და მეუბნება: – მიზეზი არის, ბავშვობისას მისმა მამამ ჭიდაობისას წამაქცია და მაგრად მცემა.

ჩვენ ყველას სიცილი აგვიტყდა. მანაც თავი ვერ შეიკავა, გაიცინა და გადაჭრით თქვა: – მომავალ კვირადღეს მისი ბიძა მოვიდეს, ნიშნობა გადავიხადოთ და ქორწილის დღე დავადგინოთ.

ამ ჩემი დიდი მონდომებით ეს წეს-ჩვეულება ბედნიერად და სიკეთით დამთავრდა.

დავუბრუნდეთ სოფელ ღრელის დახასიათებას. სოფელს შორიდან რომ გახედავთ, ერთიანი ვაკე მინდორი გეგონებათ. რადგან მიწურ სახლებზე მთაგორიანი ისეა გაზრდილი, რომ სათიბი ჭალა გეგონებათ. ახლოდან რომ დააკვირდებით, ბუხრებს დაინახავთ, საიდანაც კვამლი ამოდის. რამდენადაც უცხოც რომ იყო, მაინც მიხვდები, იქ ხალხი ცხოვრობს.

დასავლეთის მხრიდან სოფელში მოემართება განიერი საურმე გზა მცხოვრებთა ბინების დასაწყისამდე. შემდეგ გზა იყოფა სამ ნაწილად. ვიწრო ქუჩებად, რომლის სიგანე მეტრ ნახევრიდან ორი მეტრი იქნება. ეს ვიწრო ქუჩები მიემართებიან აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით მცხოვრებთა ბინების შესასვლელამდე.

მტრის თავდასხმის დროს მცხოვრებლები ქუჩების დასასრულს ჩახერგავდნენ, რომ მომხვდური მტრის ცხენოსნებს ქუჩის ბოლოდან ვეღარ გაევლოთ.

მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად სოფლის მცხოვრენი შეიარაღებულნი იყვნენ ჯოხებით და კეტებით. ახალგაზრდებს ორმოცდაათ წლამდე ერთ გვერდზე ეკიდათ ერთი მეტრი სიგრძის მუხის ჯოხები და ხელში ეჭირათ 4-5 მეტრი სიგრძის კეტები.

მტრის ცხენოსანი ვიწრო ქუჩაში რომ გაგრძელდებოდა, მტერს შეეძლო თავისი ხმლით მებრძოლს მისწვდომოდა, ამიტომაც სოფლის მცხოვრებთა მებრძოლები 3-4 მეტრით უკან დაიწევდნენ და გრძელი კეტებით მტერს ჩახოცავდნენ.

გიორგი პაპა გვიამბობს ლეკთა თავდასხმას ჩვენს სოფელზე:

– რამდენიმე დღით ადრე გავიგეთ, რომ ლეკ-

ჩვენ ხომ უკეთესად უნდა ვიბრძოლოთ.

მტრის ცხენოსანი მებრძოლები ვიწრო ქუჩებში შემოვიდნენ და წინ მოიწევდნენ, მაგრამ ვიწრო ქუჩის გასავლელები უკვე ჩახერგილი იყო.

ჩვენი მხრიდან ბადალამ, ქუნცულამ და აფრამამ, მქუხარე ხმით დასძახეს: – დაჰკარით, ბიჭებო, მომწყდეულ ცხენოსნებს.

ჩვენი მებრძოლნი მომარჯვებული გრძელი კეტებით მიესივნენ და შორიდან ურტყამდნენ მომხვდურ მტერს. მომხვდურებმა იძრეს ხმლები, ჰაერში ამაოდ იქნევდნენ, მაგრამ ჩვენ მებრძოლებს ვერ სწვდებოდნენ, რადგან ჩვენი მებრძოლნი კედლიდან ორი მეტრით მაინც იყვნენ დაშორებულნი. მალე მათი ცხენოსანი მებრძოლები თავპირდამტვრეულნი ჩავხერგეთ.

უკან მდგომი ცხენოსანნი და ქვეითნი გაიქცნენ. ამ დროს დათუნამ ხმამაღლა შესძახა: – ბიჭებო, ახლა მოკლე ჯოხებით ჩავუხტეთ ხმლიანებს! – ათი-თხუთმეტი ვაჟკაცი ჩახტა ქუჩაში ჯოხებით და შეებრძოლნენ მტერს. მოკლე ხნის ბრძოლით მტერს დააყრევინეს ხმლები, რომლებმაც ხელები მაღლა ასწიეს. ე.ი. ტყვედ ჩაგვბარდნენ. ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენს მხარეს ხუთი ახალგაზრდა მსუბუქად დაიჭრა. მტრის მხარეს – თხუთმეტი მოკლული, 31 მძიმედ და მსუბუქად დაჭრილი და დანარჩენი ტყვეებად ჩაგვბარდნენ.

დაჭრილები და ტყვეები ამოვიყვანეთ ერდოზე. ჩვენმა ექიმბაშმა დაჭრილებს უმკურნალა. მკვდრები ქუჩიდან კალოზე გავასვენეთ.

ჩვენ უფროსებთან ერთად მთელი საათის განმავლობაში ერდოზე ვდგავართ და ველოდებით მტრის მთავარი ძალის შემოტევას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი ბანაკიდან არ იძვრიან.

ჩვენმა უფროსებმა გადაწყვიტეს ტყვეები, დაჭრილები და დახოცილები მათთვის ჩაგვებარებინა.

ბადალას, ქუნცულას და აფრამას ბრძანებით ჯოხზე თეთრი მანდილი მივამაგრეთ და პურ-მარილით გავემართეთ მტრის მთავარ ბანაკისაკენ. თან მიგვყავდა ჩასაბარებლად ტყვეები, დაჭრილები და დახოცილები.

ბადალამ ლეკური და ჩეჩნური ენა კარგად იცოდა.

სამნი პურ-მარილით წარსდგნენ ლეკთა უფროსის წინ. პურ-მარილი გადასცეს და მობოდიშებით მოახსენეს: – აღავ, აგერ გაბარებთ ტყვეებს, დაჭრილებს და ამ თხუთმეტმა მოკლულმა ტყუილ უბრალოდ თავი რომ შეგვაკლეს. ჩვენ არავის დაჩაგვრა და წყენინება არ გვინდა. სტუმარი უცხოა თუ შინაური, პატივს ვცემთ და მტერსაც მტრულად დავუხვდებით.

მეთაური: – როგორ, ამ სამი ბავშვით მტერს ებრძვით?

ბადალა: – ჩვენ ასზე მეტი ახალგაზრდა გვყავს.

მეთაური: – ჩვენ ათასზე მეტნი ვართ და

ლეკთა მეთაურმა ათ-ათი მებრძოლი დაუპირისპირა ქართველ სამ მებრძოლს.

დათუნამ თვალის დახამხამებაში თავისი მუხის ჯოხით რამდენიმე ლეკს ხმლები დააყრევინა და ჯოხი კისრებში უმარჯვა. ისინი მიწაზე გაიშხლართნენ. დანარჩენნი გაფხორილი ინდაურივით გარშემო ურბენდნენ. მოკლე ხნის განმავლობაში სამმა ვაჟკაცმა ლეკებს ხმლები დააყრევინეს.

დათუნა ლეკთა უფროსს შეეხმიანა: – აღავ, ძირზე გართხმულები არ მოგვიკლავს, ცოტა წყალი დაასხით და ფეხზე წამოდგებიან.

მართლაც მათ წყალი რომ დაასხეს, ფეხზე წამოდგნენ. ისინი თავჩაქინდრულნი თავიანთი უფროსის წინაშე წარსდგნენ და შერცხვენილნი თვალს ვერ უსწორებდნენ.

დამარცხებული ლეკი წარსდგა თავის უფროსის წინაშე და მოახსენა:

– აღავ, შენ თვითონ იცი, ასამდე ბრძოლაში ვყოფილვარ, ასამდე მტერი მომიკლავს ან დამიმარცხებია. ამ ჩემი მარცხით თავი სიზმარში მგონია. მომეცით ნება ამ ქართველ ახალგაზრდას ხელი ჩამოვართვა და ჩემი ფარ-ხმალი გადავცე საჩუქრად, ჩემთვის საჭირო აღარ არის, რადგან საბრძოლო მოვლენებს უნდა გავშორდე. სამშობლოში რომ დავბრუნდები, ბუხართან დავჯდები, ყალიონს გავაბოლებ და მის კვამლს გავაყოლებ მარცხისაგან მოზღვავებულ ფიქრებს.

მეთაური: – შენ, პატარავ, აქეთ მოდი, ჩემთან, შენ ქურთი ხომ არა ხარ, რატომ გეძახიან ქურთოს?

ქურთო: – აღავ, მე თვითონ აღარ ვიცი ჩემი ნამდვილი სახელი. ამ ერთი წლის წინ ქრისტიანობის დღე იყო სოფელ ურაველში. სოფლების მცხოვრების უმრავლესობა იკრიბებოდა დროის გასატარებლად. იყო ჭამა-სმა, ცეკვა-თამაში, შემდეგ მოჰყვებოდა ახალგაზრდების ჭიდაობა. დათუნამ და გელამ ზედიზედ რამდენიმე თურქი ფალავანი წააქციეს. ასე რომ ჭიდაობაში გამარჯვება ჩვენს მხარეს იხრებოდა. ამ დროს უცხო ტომის ფალავანი გამოვიდა წრეში. ერთ ხანს იტრიალა, ვერავინ ვერ გაბედა გამოსვლა. გამოსული ფალავანი ქურთი. ის იყო მაღალი და მხარბეჭიანი. რომ არავინ გამოვიდა, მე ვეღარ მოვითმინე, გამოვარდი წრეში და მთელი ძალით გაქანებული, თავით დავეტაკე გულ-მკერდში. ქურთი ზურგზე დაეცა. მე ხელი შევაშველე წამოსაყენებლად. იგი წამოხტა. მე ხელი ვტაცე მკლავში, გამოვკარი სარმა და ზურგზე წამოკიდებით დავანარცხე მიწაზე ისე, რომ მისმა ამხანაგებმა ძლივს ააყენეს. აღავ, მას შემდეგ ქურთოს მეძახიან. ეს კიდევ არაფერი, ჩემთვის საწყენი ის არის, ქუჩაში რომ გავივლი, ბავშვები დამინახავენ და სტეხენ ჟრიამულს, ყვირილსა – ქურთო, ქურთო მოდისო!..

მეთაური: – დათუნა, წინ წამოდექი! შენ გეძახიან ზოგჯერ ლომას, რატომ? ამ თქვენს მხარეში ვეფხვი და ლომი არ იმყოფება.

დათუნა: – ჩვენს წინაპრებს ასე უთქვამთ: სადაურსა სად წაიყვან, სად აღუთხრიან სამარესა.

მე სოფელ ღრელში დავბადებულვარ. ორი წლის ბავშვი ვყოფილვარ. ყაჩაღებმა რომ გამიტაცეს და ახალციხის ბაზარზე გავყიდულვარ, თურქეთის ბადრაგებს, დიდძალ ტყვეებთან ერთად, სტამბოლის ბაზარზე გავუყიდივარ. ერთ ინგლისელ ჯენტლმენს ჩემი თავი უყიდია. ინგლისში წავუყვანივარ. მას ორი შვილი ქალ-ვაჟი ჰყავდა. მეც შვილად მიუღივარ. ჩემს მამობილს ჩემი ყიდვის დროს ბადრაგისთვის უკითხავს ჩემი ეროვნება. მას უპასუხია, რომ საქართველოში, ახალციხის ბაზარზე ვუყიდივარ. აქედან მამობილი დარწმუნებულა, რომ მე ქართველი ვარ და ამიტომაც დამარქვა გეორგინი. მათ ბავშვებთან ერთად ვიზრდებოდი. ექვსი წლისა რომ გავხდი, მეც თავის ბავშვებთან ერთად მიმცეს. კარგად ვსწავლობდი. რვა წელი რომ შემისრულდა, მამობილმა პარიზიდან გამოიწვია ჩვენს საწვრთნელად მონადირეობაში კარგი ოსტატი. ოთხ წელს გავდიოდით ასეთ წვრთნას.

14-15 წლისა ვიყავი, როცა სხვა გაწვრთნილ

გაგრძელება მე-12 გვ.

შეხვედრა პოეტთან

„მე პოეტი არ ვარ, მსახური ვარ პოეზიისა“ – განაცხადა პოეტმა **ტარიელ ხარხელაურმა,** რომელიც 16 მაისს წაღვერის საჯარო სკოლის საპატიო სტუმარი გახლდათ. დიდი და იშვიათი დღე იყო ჩვენი სკოლის ცხოვრებაში, უბრალო, გასაგები ენით მოყოლილი თბილი ამბები, მის მიერვე წაკითხული ლექსები ... *,,სამშობლოვ ჩემო, პოეტი შენ ხარ, მე შენი ენით მოლაპარაკე ... ზემოდან გადმომწერი ვარ მხოლოდ, უბრალოდ შუამავალი თქვენსა და უფალს შორის“... ,,ცა მხრებზე ედოს კეცივით“...,,კაი ყმა კვლავ ცოცხალია – ცვრიანი გულითა და ტკივილიანი მზერით“* – კითხულობდა პოეტი თავის ბრწყინვალე ლექსებს და დიდ სულიერ საზრდოს – ,,სულის პურს“ უშურველად აწვდიდა თავის ერთგულ მკითხველებს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გადაიზარდა და მოსწავლეებმა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღეს საპატიო სტუმრისაგან. ბოლოს კი საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი იქნა პოეტის ლექსებზე შექმნილი ლიტერატურული კომპოზიცია, ხოლო ფრიდონ სულაბერიძის სახელობის წაღვერის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,**სამეფომ**“ შეასრულა საცეკვაო ნომრები.

ღონისძების დასასრულს ტარიელ ხარხელაურმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და დიდი სურვილი გამოთქვა მომავალი ურთიერთობებისა.

შეხვედრას ესწრებოდნენ პოეტი **უჩა არაგვისპირელი,** გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორი **ვალერიან ლომიძე,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე **ოთარ არბოლიშვილი** და სხვები.

მონიკა ჭანტურია

ძველი გაზეთებიდან

საერო ენა და სათემო კილო

საფრანგეთის ერის მოქალაქებრივმა ცხოვრებამ დაჰბადა სხვათა შორის ერთი უტყუარი ჭეშმარიტება: პოლიტიკის ერთობას ენის ერთობაც მოჰყვებაო. და მართალიც არის. ჩვენ რო პოლიტიკის ერთობა ხშირად არა გვქონია, ამას ჩვენის, მეტადრე სალაპარაკო, ენის სხვა-და-სხვაობაც ამტკიცებს. მე აქ არ ვამბობ იმ სხვა-და-სხვა გვარობას, ანუ ნათესაობას. აქ ხსენებული განსხვავება სათემო კილოს ვითარებას უფრო ეხება, ჰხატავს სათემო კილოს დამოკიდებულებას საზოგადო, სამწერლო ენაზე.

სალიტერატურო ენის ბედი თემის ბედთან არის შეერთებული. ვსთქვათ, რომელსამე ერს შეადგენს რამდენიმე თემი; რა თემშიაც პირველად დაიწყება მოქალაქებრივი ცხოვრება, იმ თემის კილოც საზოგადო, სამწერლო ენად ხდება. ბატონს თავის ხელთან ერთად თვისი ენაც შეაქვს პროვინციაში.

ჩვენშიაც ეგრე ყოფილა. ზემო-ქართლიდამ გამოვიდა პოლიტიკა და იმისი ენაც გამთავრდა საქართველოს დანარჩენ თემთათვის. ზემო-ქართლით მე არ ვამბობ მხოლოდ მცხეთოსის საუფლებელსა; იგი იპყრობდა აგრეთვე მესხებს. მართალია, ქართლში პირველად გაჩნდა პოლიტიკებრივი ცხოვრება, მაგრამ იმდენად სუსტი იყო, რომ თავის ძლიერების გამომთქმელი საშუალება არ მოეძებნებოდა; ლიტერატურა ჯერ არსად იყო. ანბანის გამოგონებით მოსჩანს რაღაც მისწრაფება სამშობლო მწიგნობრობის შემოსაღებად, მაგრამ თითქო თესლადვე კვდებოდა. ქართლის ცხოვრებაში აქა-იქ არის, მაგ., წმ. ნინოსაგან თავის ცხოვრების დაწერინება და მირიანისაგან „ნებროთიანის“ კითხვა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ფარნავაზიდამ ქრიასტიანობის შემოღებამდე გვარიანმა ხუთმა თუ ექვსმა საუკუნემ განვლო. მესხეთი თვითონ ქართლზე პირველად პოლიტიკებრ მაღლა არა მდგარა, მაგრამ თუ იმისმა კილომ მწერლობაში მოქალაქობა დაისაკუთრა მთლად კლასიკებრ პერიოდის განმავლობაში, ამისი მიზეზი იყო ორი გარემოება: განათლება და პოლიტიკებრი ძლიერება.

მესხეთის მკვიდრთა შორის თითქმის მერვე საუკუნიდამვე იწყება იმათი მოღვაწეობა ქართულს მწერლობაში პირველი მთარგმნელები მესხები იყვნენ. დღესაც არსებობს პირვანდელი დავითნი მესხურს ენაზედ. სასულიერო მწერლობიდგან მესხები საეროშიაც გადმოვიდნენ. თითონ რუსთველი, შავთელი და ბევრნი სხვანი მესხები იყვნენ. ხანდახან სხვა თემთაგანაც გამოდიოდნენ მწერალნი, მაგ., იმერეთით მოსე ხონელი, დუშეთით ჩახრუხაძე, მაგრამ იმათაც-კი ნათლად ატყვიათ მესხურ-ქართლურის ზედ-მოქმედება. ამ გარემოებას თავისი მიზეზი ახლავს. ძველად სამცხე-საათაბაგო ბერძნების გავლენის ქვეშ იყო და ჭანეთი ხომ, მაშინდელი კაპადოკია, სულ იმათ ეჭირა. ქრისტიანობა იქიდგან გავრცელდა. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი ჭანის ქალი იყო და ათ-ცამეტი სირიელნი მამანიც, რომელთაგან სამუდამოდ დამკვიდრდა და ფესვი გაიდვა ქრისტიანობამ, აგრეთვე ჭანები იყვნენ. ის მშვენიერი ენა, რომლითაც იგინი საქართველოში სახარებას ჰქადაგებდნენ, შესწავლული უნდა ჰქონებოდათ ან სირიის ქართველთ მონასტრებში და ან მეზობლად მესხეთში, რაც უფრო საგულისხმოა.

მეორე იყო პოლიტიკის გადმოტანა, ან და უკეთ ვსთქვათ გურამ ბაგრატოვანის გამეფება. ეს ბაგრატოვანთა გვარი, რომელსაც საქართველოს საერო ხელმწიფება ხელთ ეპყრათ ამ საუკუნის დასაწყისამდე, მესხეთიდამ არის გამოსული. ამ გვარმა თავის ახალს საბრძანებელს ენაც მიაღებინა. ამ გარემოების წყალობით მესხეთის ენას მიენიჭა მოქალაქობრიობა. ქართულს მწერლობაში ამ მესხურის ელემენტის ნაშთი მოსჩანს დღეს იმერეთის, ქართლის და კახეთის კილოებშიაც და თვითოეულს ჰგონია, რომ იმის ენაზე დაწერილია ვისრამიანი, რუსუდანიანი თუ დარეჯანიანი. ამისი მაგალითი იმდენია და ისე თვალ-საჩინო, რომ მოუხსენებლადაც კარგად გამოვა ადამიანი. თუ გნებავთ, ვიტყვით, მაგ., ვისრამიანში ხშირად შეგხვდებათ სიტყვები ქალიშვილი, გვარიანი; დარეჯანიანში ბარობა; ქილილ და დამანაში კლიტე, მოქლონი; ვეფხის-ტყაოსანში: მოღორება, ყველაკა, ფრენა; ან და სიბრძნე სიცრუისაში: თვარა, დაღლეტილი, დაკოდილი, რომელნიც იმას ამტკიცებენ, თუ მესხურ-ქართულის ელემენტი რამდენად დაცულა იმერულ-ქართულში; აგრეთვე ითქმის სხვა თემების ქართულის შესახებ.

მეთხუთმეტე საუკუნემ თუ ერთმთავრობას ფრთა შეაკვეცა და თითქო გამოსჩეკა რამდენიმე სამეფო და პატარა სამთავროები, არც ენის ძლიერებისთვის დაუყრია ხეირი. კერძო პოლიტიკებრ ცხოვრებამ წამოაყენა ადგილობრივი ელემენტი, მას მისცა ფართო ასპარეზი და საზოგადო საუბარი, ენა კი იქმნა დავიწყებული. სიტყვები: მოარული – ჩამომრები, სათალი, სახეთქი – სახრავი, საპობი; დახემსება – დანაყრება; კლიტე, მოქლონი – გასაღები, კლიტე, უძრახი, უბარი და სხვა მრავალი, რომელთა რიცხვი ლეგიონია, სულ კერძო პოლიტიკებრ ცხოვრების შედეგნი არიან.

ახალმა დროებამ ისევ ჩვენს თემებს საზოგადო საერო ცხოვრება მისცა, მაგრამ ენის განვითარებას კი საიმედო მომავალი არ გაბრწყინვებია. მწერლობა მაინც საჭირო გახდა და დაიბადა უნებლიედ ის საკითხავი, თუ რა ენით ეწერათ რამე. ჯერ-კი მწიგნობრულმა, საეკკლესიო ენამ გაიტაცა ჩვენი მწერლები და ბოლოს კი, როცა შეიტყეს, რომ სახალხო ენით იყო საჭირო გაზეთის ბეჭდვა, ყველამ თავისი კილო არჩია და ამ ნაირად დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე იგი, რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამ გვარად ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი; ჰლამის დაჰბადოს მწვალებლობა, მეტად საზარი. აქ ერთი რამ ავიწყდებათ ჩვენს მწერლებს. ან არ სცოდნიათ სხვა ქვეყანათ ლიტერატურისა და ენის განვითარების ისტორია, ან და იმის ცოდნა ჩვენს ენის ნიადაგზე ვერ გამოუყენებიათ და თითქო ხამნი იყვნენ, ისე იქცევიან. მთავარ მწერლობის გრამატიკებრი კანონმდებლობა ყოველ მწერალთათვის სავალდებულო უნდა იყოს, ყოველის მწერლის კალამი ერთ ნაირად უნდა აკანკლედებდეს, ან აუღვლილებდეს სიტყვას. თუ თემის სიტყვა რომელიმე შემოაქვს მწერლობაში, იმის მაგიერი იქ არ უნდა იყოს და თუა, უცხო უნდა იყოს; ავიღოთ სიტყვა არტაში; ეს სომხურია. დღევანდელს ქართულს ენაში აღარ დაცულა; ნამდვილი ქართული სიტყვა-კი შენახულა მეგრულს-ქართულშ: ხირკალი (ხე გრკალი); მეორე სიტყვაა: ძუნწი; ესეც სომხურია, ქართული-კი, თუ არ ვცდები, იმერულშია, „პურშავი“; რა ცოდვა არის არტაშისა და ძუნწის მაგიერ მწერალმა რომ იხმაროს: ხირკალი და პურშავი. აგრეთვე ზოგიერთ გრამატიკის ფორმებისთვისაც, როგორცა სჩანს, ფშაურ-ქართულში წოდებითი ბრუნვა ბოლოვდება აუზე; მაგ., ქალაუ; და ზმნების: მაქვს, მგავს, აწმყო დროის მესამე პირი არის თურმე: აქვ და ჰგავ, უსანოდ. ახლა ვიფიქროთ რის მაქნისია ეს ფორმები საზოგადო ქართულს ენაში, როდესაც წოდებითი ბრუნვა საუკუნეთაგან დამყარებულია „ო-ნზე“; მაგ.: ქალ-ო, და ზემოხსენებულ ზმნების აწმყო დროის მესამე პირი-კი არის, როგორც არა ვსთქვით, მაქვს, ჰგავს. რომ არა გვქონდეს ის სულ სხვაა, მაშინ მწერალი დიდს სამსახურს გაუწევდა საერთო, საზოგადო ქართულის მწერლობის განვითარებას, რომ შეეტანა ის სიტყვები და ფორმები, რაც აკლია და არა მეტ ბარგად ჩასარიცხი ელემენტი.

თემის კილოს ადგილი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარაკებს თავის გმირებს; მხოლოდ მაშინ ნება ეძლევა მწერალს გვაჩვენოს თავისი გმირები, ისე, როგორნიც თვითონ ნამდვილად არიან.

უცილოა, რომ ფშაურს პოეზიას, ისე როგორც სხვა ქართველთა თემის პოეზიას, თავისი საკუთარი ჩინებული მხარე აქვს და სამწუხაროდ-კი იქაურს მწერლებს ვერ შეუგნიათ, თუ რა სახით უნდა შეიტანონ საერო მწერლობაში თავიანთის თემის პოეზიის საკუთარი მარგალიტები, სიტყვის საქცევი ფიგურებრ თქმულება, ჰიპერბოლები, შედარებანი, ანდაზები თუ აფორიზმები. აი რა არის განმასხვავებელი. აი ამათის შემოტანით გამდიდრდება საერო მწერლობა, ისიც იმ პირობით, თუ მისივე სახით შემოაქვსთ. ფშაური შავეთი1), წაწალა2); სვანური: ქორემზირი3); იმერული: წახდა კაკალი კაცი, ან გურული: გაშპა4) ისეთი სიტყვებია, რომ იმათ მაგიერნი საზოგადო სალაპარაკო ქართლში არ მოიპოვებიან და, მაშასადამე, იძულებულნი და მოვალენიცა ვართ იმისთანა მარგალიტები ავსახოთ, რაც შეიძლება ბლომად ქართულის ენის ზონარზე, რომ ქართულს ენას ცნობათა მრავალ-ფერობა დაემკვიდრეს.

რამდენად ბ-ნ მაჩხანელის ქიზიყურმა პროზამ ბევრი მეტ-ბარგად ჩასარიცხი სიტყვები შემოსძღვნა ქართულს საერო პროზას, იმდენად ბ-ნმა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებითუ კან ჩამორჩენილი გრამატიკებრი ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტ-ხორცი სიტყვებიც. ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმნიშვნელო და მეტ-ხორცის პროვინციალიზმით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ.

პ. მირიანაშვილი,
გაზეთი „ივერია“,
1888 წელი N166

1 ჯოჯოხეთი
2 საყვარელი
3 ქორის (სახლის) მზირალი (მაყურებელი)
4 გაჰქრა უეცრად

ჯაყელ ათაბაგთა საბრძოლო სიმღერა

(1300-1625 წლები)

ლაშქრით მოდიან,
მოიმღერიან,
მოუსხამთ ვეფხის ტყავნი,
სამშობლოს ფარად მტერს კი –
მახვილად,
ათაბაგები სამცხის!

ჯაყელთა გვარის არიან
მოდგმა
და ჩორჩანელთა ნაშთნი,
მესხეთის მიწა მათი სისხლია,
ათაბაგების – სამცხის!

უამრავ ომში გამოუვლიათ,
ჰფარავთ აწყურის ხატი,
მეწინავენი არიან ომში,
ათაბაგები სამცხის!

და როს შეიქმნა
ჩოჩქოლი მტერში
იხილეს მესხთა რაზმი,
წყობათა შინა მუდამ რჩეულნი,
– ათაბაგები სამცხის!



სურათზე გამოსახული სასახლე არარატის მთის სიახლოვესაა, რომელიც ახალციხელმა ხელოსნებმა აუშენეს ისაყ და აბდი ჟოქალ ფაშა ჯაყელებს, იგი ოსმალეთის აღმოსავლეთი იმპერიის მთავარი ადმინისტრაციული ობიექტი იყო და აქედან მართავდნენ გამაჰმადიანებული ჯაყელები სირიასა და ერაყს. ამჟამად ეს მხარე ქურთებით დასახლებული პროვინციაა, რომელიც ადრე ჯაყელებს ემორჩილებოდნენ. ისაყ ფაშა ჯაყელის შთამომავლები აქ დღესაც ცხოვრობენ და უწოდებენ „ჩილდიროღულარებს“, ანუ ჩილდირის შვილებს .

ხრმალი იშიშვლეს მესხთა შვილებმა,
მტრის ბელადთ ჰკვეთეს თავნი,
ახალციხეში დაბრძანდებიან
ათაბაგები სამცხის!

ეს ლექს-სიმღერა შემოგვინახა ჩემმა დიდმა პაპამ, გურიაში საპატიო კაცის – სახელწიფო აზნაურის, ქაიხოსრო ჯაყელის ოჯახში დაბადებულმა მიხეილ ჯაყელმა. მას შვიდი შვილი ჰყავდა, მათ შორის ერთ-ერთი პაპაჩემი – ნიკოლოზ მიხეილის ძე ჯაყელი იყო. თავად სიმღერა ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა შთამომავლებს და ასე მოაღწია ჩვენამდე. გარდაცვალების წინ, იგი იმღერა ნიკოლოზ მიხეილის ძე ჯაყელმა და ბოლოს ჯაყელთა ჰიმნად იქცა, რომელიც საქართველოში შემორჩენილ საგვარეულო ჰიმნთა შორის ერთ-ერთი საინტერესოა და სპეციალისტთა მხრიდან შესწავლას მოითხოვს.

აღდგენილია
კახაბერ ჯაყელის მიერ

წიგნის წარდგენები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი **ნატო ყრუაშვილი** წლებია დიდ საშვილიშვილო საქმეს ეწევა სამცხე-ჯავახეთში განათლებისა და კულტურის კერების შესწავლისა და კვლევა-ძიების მიმართულებით. ახლახან კი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რომლის ასოცირებული პროფესორიცაა) სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე მისი კიდევ ერთი საინტერესო წიგნის – „განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში“ წარდგინება მოეწყო.

ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი გულიკო ბექაური. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **ლალი ბერიძემ** და რეცენზენტმა **როინ ყავრელიშვილმა** დარგობრივად განიხილეს წიგნში შესული მასალები, ისაუბრეს მის მნიშვნელობასა და სამცხე-ჯავახეთში განათლებისა და კულტურის დარგის მოღვაწეთა დამსახურებებზე. ამ წიგნში მკითხველი გაეცნობა შემდეგ საკითხებს: _ კულტურისა და განათლების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში XX საუკუნის დამდეგს; პროფესიული და ტექნიკური სასწავლებლები ქალაქ ახალციხეში; სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზა“; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (I)-(II); ახალციხის სარაიონო კულტურის სახლი; ხალხური მუსიკალური კულტურა; ანსამბლები, მესხი პოეტები, ხალხური შემოქმედება და ა.შ.

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე განათლებისა და კულტურის დარგის მუშაკებზე ნიჭიერმა მკვლევარმა **ნატო ყრუაშვილმა** დღემდე უცნობი ბევრი საინტერესო მასალა მოიძია, შეისწავლა, გადაამუშავა და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა, რომელიც ამ სფეროში დასაქმებულთა (და არა მარტო მათთვის) სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.

ნატო ყრუაშვილის ახლადგამოცემული წიგნის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრეს ამავე უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ**, რექტორის მოადგილემ **მერაბ ბერიძემ**, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ**, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა **ნათელა ბერიძემ**, **მაია ქუქჩიშვილმა**, **ციური ლაფაჩმა**, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა **მარინე ზედელაშვილმა**, ახალციხელმა პედაგოგმა **ნანა დათაშვილმა**, ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა **ლილი აჩელაშვილმა**, უნივერსიტეტის თანამშრომელმა **თემურ მაღრაძემ**, სტუდენტმა **ხატია ჩილინგარაშვილმა** და სხვებმა.

ნატო ყრუაშვილის მიერ წარდგენილი წიგნი მეორე ნაწილია გასულ წელს გამოცემული წიგნისა, რომელიც გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მას სახელმძღვანელოს დანიშნულება აქვს და იგი დიდ სამსახურს გაუწევს როგორც ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, ასევე სტუდენტებსა და ისტორიკოსებს.

ავთანდილ მესხი

სოფლების ამბავი

◀ დასაწყისი გვ. 9

მონადირეებთან ერთად ჩვენი ოჯახის წევრებიც გავემგზავრეთ აფრიკაში. ქალაქ ნაირობში დავსახლდით. ერთი თვის შემდეგ გაგვამგზავრეს ორას კილომეტრის იქით უღრან ტყეში. იქ დიდი მდინარის ნაპირზე მონადირეთა ერთი ოჯახი ცხოვრობდა. მონადირეთა უბანში რომ დაგვასახლეს, მაშინ მივხვდი, რომ ჩემი მამობილი გამოცდილი მონადირე იყო. ჩემი მამობილი მავარჯიშებდა, ყოველდღიურად ნადირობის წესებს მასწავლიდა ლომებზე, ვეფხვებზე და გორილა-მაიმუნებზე. მაგალითად, რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, უღრან ტყეში, გორაკებიდან ჩამოედინება პატარა-პატარა ნაკადულები. ლომები ან ვეფხვები შუადღისას ჩამოდიან ნაკადულთან წყლის დასალევად, შემდეგ იქვე მახლობლად ვაკე-მინდორზე ერთობიან თავიანთ ლეკვებთან თამაშით. როცა თავს იჯერებენ თამაშით და დაიღლებიან, გაიშლართებიან და მიეცემიან ძილს. მონადირემ მაშინ უნდა იმარჯვოს.

ერთ დღეს მე და მამობილი წავედით ლომებზე სანადიროდ. როგორც ზემოთ ვთქვი, პატარა ნაკადულის მახლობლად ჩავუსაფრდით ლომებს. მამობილისაგან ჩასაფრებული ვიყავი რამოდენიმე მეტრის დაშორებით. მამობილმა ერთხელ კიდევ გამაფრთხილა, რომ თოფის სროლის დროს შესაძლოა ლომებმა ჩვენსკენ ნახტომი გაიკეთოს და ხანჯალი მზად გეჭიროსო.

დასაძინებელი ტყვია რომ ესროლა ლომს, ალბათ, დასაძინებელმა ტყვიამ მაშინათვე არ იმოქმედა და ლომები დიდი ნახტომებით თავს დაგვესხნენ. გადმომხტარ ლომს ხანჯალი მივაგებე გულში. ლომი ტარამდე წამოეგო და ძირს დაენარცხა. მივხედე მამობილს, მას ვერ მოესწრო ხანჯლის ამოღება და ლომის კლანჭებში იყო მოქცეული, ცოტაც და ყელს გამოღადრავდა. მამობილს მივეშველე. ლომმა ჩემსკენ ისკუპა. თათები ბეჭებზე მომდო და კლანჭები გამიყარა. მე სისხლიანი ხანჯალი მკერდში გავუტარე. ლომი სასიკვდილოდ ძირს დაეცა. მე მამობილს მივეშველე. სისხლისაგან იცლებოდა. ჭრილობები შევუხვიე. მეც სისხლში ვიყავი შეღებილი. გონს რომ მოეგო, გამიცინა, ხომ კარგად ხარ, შვილო, მითხრა და კვლავ გონება დაკარგა...

დათუნამ თხრობა დაამთავრა და მიმართა ლეკთა მეთაურს: – აღავ, ხომ გაიგე, რატომ მეძახიან ასლანს!

მეთაური: – შვილო, ასლან, შენი ამხანაგებით მოდი ახლოს. აი ჩემი ქამარ-ხანჯალი, მიიღე ჩემგან სამახსოვროდ. ერთ დროს მეც შენსავით დაუმარცხებელი ვიყავი. დრომ თავისი დაღის დამჩნევა იცის. იგი უკითხავად, შეუმჩნევლად მოდის და მიდის. მხოლოდ ეგ შენი მუხის ჯოხი, ათ კაცს ხმლები რომ დააყრევინე, მომეცი საჩუქრად. ეს ჩემთვის იქნება დაუვიწყარი სამახსოვრო. ჩემს სამშობლოში უკან დაბრუნებისას ყველას უნდა ვესაუბრო ქართველი კაცის გმირობაზე, რომ ერთი ათს სჯობნის ახლა მშვიდობით და ყოფილიყავით ყოველთვის გამარჯვებულნი.

ბადალა: – ბიჭებო, ხომ ხედავთ მტერი დამარცხებული წავიდა. ასლან გირეიმ ათეული წლები თავისი ბრძოლის გამარჯვების დასტური ჩვენ საჩუქრად გადმოგვცა. ახლა წავედით, რომ სოფელი ახალდაბადებულივით გველოდება. ხედავთ, გოგოები ფეხის წვერებზე დგანან, რომ თქვენ დაგინახონ, რომ მოისმინონ თქვენი ვაჟკაცური გამარჯვება, მტრისგან თავდასხმის მონანიება, ძვირფასი საჩუქრის – ხმალ-ხანჯლის გადმოცემა ეს უდიდესი აღირსებაა ჩვენი მომავალი თაობისათვის.

ხომ ხედავთ, სოფელი გამოსულა ჩვენს შესახვედრად, იქნებ, შეშინდნენ, ლეკებმა თავები დააყრევინესო.

– დღეგრძელი გამარჯვება ქართველ ერს!..– ჯამაათნო, – მიმართეს სოფელში ჩასვლისას ხალხს – ახლა დაიშალენით, ყველა თავთავიანთ სახლებში წადით, დაისვენეთ, დანაყრდით და ყოველთვის მზად იყავით უცაბედი თავდასხმისთვის. დღეს ლეკები შემოგვესივნენ, ხვალ შეიძლება ჩეჩნები და ზეგისთვის ვინ იცის ვინ? მე ყველას გისურვებთ კერაში მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებას.

ჩაწერილია **ვახტანგ სუდაძის** მიერ 1937 წელს, მოგვაწოდა **გრიგოლ ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩმა**, 2019 წელს,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფ. ე.N5756

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com